# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 29 ოქტომბერი 2004 №252 (2273) ფასი 50 თეთრი

## ფსიქოლოგიკური ამბავი
## წასული წარსულს



გუშინ ტურინში იუვენტუსი - რომა **არ გაპატიებს**

მთავარი მოქმედი პირი: ფაბიო კაპელო, კალჩოს სტრატეგი.

კაცი, რომელმაც საამსეზონო სერია A-ს დაწყებამდე რომაელ „გლადიატორებს“ უგანა და დღეს „ბებერ ქალბატონს“ თავკაცობს.

კაცი, რომელმაც რომიდან ტურინს წაიყვანა ემერსონი და ჯონათან ძებინა.

კაცი, რომელიც „რომას“ ანტონიო კასანოსა და კრისტიან პანუჩის წართმევას უპირებს.

### გუშინ ტურინში
### იუვენტუსი 2:0 რომა



REUTERS ტურინიდან

# გასკდა გული!
## სიკვდილი ფეხბურთს გაუშინაურდა







გუშინ გამთენიისას... „სან პაულუ“ – „სან კაეტანო“ სიკვდილის მატჩი გამოდგა.
30 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი სერჟინიო გულის შეტევით მოედანზევე გარდაიცვალა

## ს ფ ფ
## ამდენი ხალხი
## რა ამბავია?!
### კადრები წყვეტენ ყველაფერს!
### ჩოლარია წყვეტს კადრებს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# მიდი, მოუვდივარ!

## ვალერი ჩოლარიამ ნახევარი ფედერაცია და... ჟორდანია გაუშვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საკადრო წმენდა დაიწყო, დამთავრდა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ თანამშრომელთა თითქმის 50 პროცენტი სამსახურიდან გათავისუფლდა.

ვერ ვიტყვით, ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტად და აღმასრულებელ დირექტორად ვალერი ჩოლარიას დანიშვნას რევოლუციური ცვლილებები მოჰყვაო, მაგრამ უკვე ცხადია, ფედერაციის სტრუქტურულ-საკადრო-საფინანსო ამბები მის ხელში სხვანაირად იქნება







## რამდენიმე კადრი ძველი საკადრო მუშაკის პრესკონფერენციიდან

ჩოლარია სამშაბათს შვეიცარიაში, უეფაში მიემგზავრება ევროპული ფედერაციების გენერალური მდივნების შეკრებაზე დასასწრებად, სადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის უეფასგან ფინანსური დახმარების აღდგენის საკითხიც უნდა განიხილონ.

იქამდე კი ჩოლარიამ საშინაო საქმეები თითქმის მთლიანად მოაგვარა და გუშინ ამ საკითხებზე სასაუბროდ მიგვიწვია. ჩოლარია მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტების დასახელებას მოერიდა და მათი ვინაობის გამხელა პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას გადააბარა, რომელიც გუშინ უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად შვეიცარიაში გაფრინდა და ჩოლარია მას იქ შეხვდება.

— როცა ფედერაციაში დავბრუნდი, შტატები გაზრდილი დამხვდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე თითქმის ერთი თვეა და 15-20 თანამშრომელი საერთოდ არ მინახავს, მათ არ ვიცნობ და ვერც რაიმე ისეთი საბუთი თუ ბრძანება ვნახე, რის საფუძველზეც ისინი ფედერაციიდან ხელფასს იღებდნენ, არადა, ანაზღაურება მათ დოლარებში ეძლეოდათ — თქვა ვალერი ჩოლარიამ — ვიფიქრეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, უეფასაც რჩევა ვკითხეთ და გადავწყვიტეთ, რომ ფედერაციას 68 თანამშრომელი არ სჭირდება. სადღეისოდ ფედერაციის შტატი 38-კაციანი იქნება, მათ შორის შვიდი ტექნიკური პერსონალია, მძღოლები, კომენდანტი, მდივანი. ფაქტობრივად, ფედერაციაში 31 მუშაკი დარჩა. მათგან რამდენიმე პირდაპირ უეფასგან მიიღებს ჯამაგირს, მაგალითად, ლიცენზირების, მწვრთნელთა ლიცენზირებისა და მსაჯთა აკადემიის მუშაკები.

...გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს ნაკრების ბაზა და ლაგოდეხის საწვრთნელი კომპლექსი თვითდაფინანსებაზე გადაგვეყვანა. დღეიდან თავიანთ თავს თავად მიხედონ. თუმც ბაზების კეთილმოსაწყობად ფიფა-უეფას დახმარებასაც მიიღებენ.

...საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერად გერმანიაში მცხოვრები ჩვენი მეგობარი ერვინ კაზაკოვსკი დავნიშნეთ, ის ქართულ ფეხბურთს ძალიან კარგად იცნობს და ჩვენს ლეგიონერებთანაც ახლო ურთიერთობა აქვს.

...ფედერაციაში ფიფა-უეფას პროექტების მენეჯერი თენგიზ რუხაძე იქნება. ლიცენზირების მენეჯერი კი ნოდარ ჩოლარია. ფედერაციის საერთო, უწყებრივ საქმიანობას მიხეილ საბახტარიშვილი მიხედავს, ხოლო ტექნიკურ საკითხებს, მაგალითად, ტრანსფერებს, ფეხბურთელთა პასპორტიზაციას — ირაკლი ოქროშიძე. ფედერაციას ეყოლება მარკეტინგის ორი მენეჯერიც, ამ საქმეს უჩა მალაზონია და გია შარიქაძე გაუძღვებიან. ისევ გავაერთიანეთ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი. თავმჯდომარე უწინდებურად ანატოლი მილჩენკო იქნება, მას ოთარ გუნთაძე დაეხმარება. ლიცენზირების კომიტეტი გერა ხეცურიანს ჩავაბარეთ, საქართველოს ნაკრებების მენეჯერი კი დავით ნამგალაძეა... ფედერაციაში შემოვიღეთ ორი ახალი სამსახური: გაიოზ დარსაძე ფედერაციის ტექნიკური დირექტორის პოსტს დაიკავებს. მურთაზ ხურცილავა კი განვითარების კომიტეტს ჩაიბარებს, მასთან ბადრი ქარქაშაძე, დიმიტრი ბოკერია, ავთო შალამბერიძე და სერგო კუტივაძე იმუშავებენ.

...ჯერჯერობით კვლავ ღიადაა ფედერაციის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თავკაცის საკითხი. თუმც გეტყვით, რომ დანიასთან 17 ნოემბრის შესარჩევი მატჩისთვის ამ საქმეს ჩვენი ძველი მეგობარი მამუკა კვარაცხელია გააკეთებს. მერე კი ვნახოთ, პრესსამსახურის უფროსობის რამდენიმე კანდიდატი გვყავს.

...საქართველოს ნაკრების საწვრთნელი ბაზის დირექტორის მოადგილეებიც დავნიშნეთ. შოთა ხინჩაგაშვილს სხვადასხვა დარგში სერგო კოტრიკაძე, გია ძამუკაშვილი და ბესო კირვალიძე დაეხმარებიან.

**კობა ინასარიძე**

# დანია დაჭერობანამდე დამალობანას გვეთამაშება

## შეინახეთ დროშები საქალაქეში

**მსოფლიოს** 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო — დანია. 17 ნოემბერი. „ლოკომოტივი". 21 საათი — ასეთი იქნება ჩვენი ეროვნული გუნდის მომავალი მატჩის აფიშა.

ფეხბურთის ფედერაციამ ფიფასთან, დანიამ კი ფედერაციასთან 17 ნოემბრის მატჩის თითქმის ყველა საორგანიზაციო საკითხი შეათანხმეს.

დანიელები თბილისში 15 ნოემბერს ჩარტერული რეისით ჩამოვლენ და სასტუმრო „მარიოტში" გაჩერდებიან. მეტოქემ „ლოკომოტივის" სტადიონზე ვარჯიში ჩამოსვლის დღესვე ითხოვა, ხოლო მატჩის წინ სტუმრები ქალაქის რომელიმე სტადიონზე ჩაიკეტებიან და თავიანთ ვარჯიშს უცხო თვალს მოარიდებენ.

დანიელების სათბილისო შემადგენლობა ჯერ უცნობია, მწვრთნელ მორტენ ოლსენს ჩვენებთან სათამაშოდ სასურველ ფეხბურთელთა დასახელებამდე ერთი კვირა კიდევ აქვს, თუმც უკვე ვიცით, რომ საქართველო — დანიას სლოვენიელ მსაჯთა ბრიგადა არბიტრ დარკო სეფერინის თავკაცობით მოემსახურება.

ეროვნულ გუნდთან ერთად ჩამოსული დანიელი ახალგაზრდები კი „ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდებიან და საღამოს ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ. ახალგაზრდების მატჩი სწორედ „ეროვნულზე" გაიმართება 16 ნოემბერს და რვა საათზე დაიწყება. არბიტრი კი სლოვაკი რიჩარდ ჰავრილა იქნება.

და კიდევ... გახსოვთ, უკრაინა — საქართველო, უკრაინის დროშის ფერი ლვოვის ლურჯ-ყვითელი სტადიონი? თუ გული გულობს, თეთრ-წითელი უნდა იყოს 17 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიც... ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის ფედერაციამ უკვე მისცა ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულებიანი 25 ათასი ქაღალდის ფორმატის შეკვეთა, რომლის უკანა მხარეს საქართველოს ჰიმნის ტექსტის წაკითხვა შეგეძლებათ.

რა გაეწყობა, ფეხბურთის ფედერაცია 25-ათასი დროშის შეკერვასა და ქომაგისთვის ფეშქაშს ჯერჯერობით ვერ ახერხებს. უკრაინამ კი ეს მოახერხა... კიდეც მოიგო.

**კობა ინასარიძე**



დანიასთან უდროშო სადროშოს დროშები ექნება... ჯერ ქაღალდის

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. X ტური
კოტბუსი 1:0 აუე

**იტალია**
სერია A. VIII ტური
იუვენტუსი 2:0 რომა

**ესპანეთი.** სამეფო თასის 1/32 ფინალი
ხირონა 2:1 ვილიარეალი

# კალაძემ იცის, რომ ანჩელოტიმ იცის

## ერთი დღე, ორი, თამაში... ძნელია!

კახა კალაძე ხასიათზე მოვიდა. გუშინწინ მისმა „მილანმა“ „ატალანტას“ 3:0 აჯობა, ჩვენიანმა შეუცვლელად ითამაშა და მეორე ტაიმში წლეულს სერია A-ში პირველი გოლიც შეაგდო.

„მილანის“ სასტარტოში ახლა უკვე იშვიათად მოთამაშე ქართველი ფეხბურთელის წარმატებამ, ბუნებრივია, ჩვენც დაგვაიმედა და ვფიქრობთ, კალაძე კვლავაც ძველებურად, მწვრთნელის მოსაწონად ათამაშდება

— ძალიან კმაყოფილი ვარ, გოლი გოლად და, რაც მთავარია, პრაქტიკულად უშეცდომოდ ვითამაშე. ჩემი ამბავი თანაგუნდელებმაც იციან, როცა არ მათამაშებენ, გიჟად ვარ და ახლა, „ატალანტას“ რომ გოლი გავუტანე, 90 წუთი ვითამაშე, მთელი გუნდი ჩემ გარშემო შეიკრიბა, მილოცავდნენ, ერთ-ერთი საუკეთესო იყავიო, თითქმის ყველამ ეს მითხრა.

— შენც ასე ფიქრობ?

— მე ვიცი, რომ კარგად ვითამაშე. ბიჭებს კი მადლობას ვუხდი გამხნევებისთვის.

— ვიქონიოთ იმედი, რომ „ატალანტასთან“ მატჩის შემდეგ ანჩელოტი ძირითადში დაგაბრუნებს?

— ვერ ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს ვაკეთებ, ანჩელოტის კი არ ვათქმევინებ, კალაძე არ ინდომებსო... ეს მწვრთნელმაც იცის.

— ითქვა, რომ „ატალანტასთან“ კალაძე ტრავმირებული ნესტას ნაცვლად ათამაშესო...

— არა, ნესტა მწვრთნელმა დაასვენა. მას ტრავმა არ ჰქონდა. საერთოდ კი, ამ სეზონში ანჩელოტი ყველა ფეხბურთელს აძლევს ამოსუნთქვის საშუალებას, მალდინიც დაასვენა, შევჩენკოც...

— სხვებთან შედარებით შენ მეტს ხომ არ ისვენებ?

— რა ვიცი. ძალიან კი მინდა თამაში., მაგრამ... მაგალითად, ზეგ გვაქვს თამაში, მაგრამ შესაძლოა, ისევ დავისვენო, „ატალანტასთან“ კუნთი წამომტკივდა.

— ესე იგი, ზეგ „სამპდორიასთან“ ვერ ითამაშებ?

— ზუსტად არ ვიცი, ხვალ თუ ვივარჯიშე, ეგებ ვითამაშო კიდეც, თუ არა და, „ბარსელონასთვის“ მოვემზადები.

— ძველი ტრავმა ხომ არ გაგიმიზეზდა?

— კი, საზარდული ისევ მაწუხებს, მაგრამ ძველებურად აღარ ვნერვიულობ, ექიმების თქმით, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ტკივილები ხვალ-ზეგ გამივლის.

— „ბარსელონა“ ახსენე. ითამაშებ ესპანელებთან?

— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ბარსელონამდე აუცილებლად მოვმჯობინდები.

— მოკლედ, მალე ძველ კალაძეს ველოდოთ?

— ძველებურად გეტყვით, კალაძე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „მილანის“ ძირითადის ფეხბურთელი იყოს. მაგრამ შეუცვლელადაც ვერ ვითამაშებ, საქართველოს ნაკრები, სერია A, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა... ძნელია ყოველ მესამე დღეს თამაში.

**კობა ინასარიძე**





შოტლანდიის პრემიერლიგის და ბუნდესლიგის ბოლო ტურებში არ უთამაშიათ რეინჯერსელ შოთა არველაძეს და ფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილს. „რეინჯერსმა“ სტუმრად „დანფერმლაინს“ მოუგო 2:1, ხოლო „ფრაიბურგი“ გასვლაზე „ჰამბურგთან“ 0:4 შერცხვა. იაშვილ-არველაძის უთამაშებლობის მიზეზზე სწორედ მათ დავეკითხეთ



# მთავარია ჯანმრთელობა

## რატომ არ ითამაშეს იაშვილმა და არველაძემ

*ალექსანდრე იაშვილი:* „ჰამბურგამდე“ შინ „შტუტგარტს“ რომ მოვუგეთ, ტრავმა მივიღე — წვივის კუნთში ისეთი ჩამარტყეს, სისხლჩაქცევა მქონდა და ამიტომაც ვერ ვითამაშე „ჰამბურგთან“. თუმც საქმე უკეთესობისკენ მიდის და მომავალ ტურში ალბათ ვითამაშებ. რაც შეეხება ლევან ცქიტიშვილს, მან დღეს ძუნძული დაიწყო და მომავალ ტურში ვერა, მაგრამ მომდევნოში შესაძლოა, ითამაშოს.

*შოთა არველაძე:* „დანფერმლაინთან“ იმიტომ არ ვითამაშე, რომ ეს გუნდი საშინაო მატჩებს ხელოვნურსაფრიან მოედანზე ატარებს. ჩემი ნაოპერაციევი მუხლისთვის კი ასეთ ხისტ და უხეშ საფარზე თამაში ძალიან სახიფათოა, რის გამოც ჯერ კიდევ 21 ოქტომბრის „ამიკასთან“ უეფას თასის თამაშის შემდეგ ვთხოვე ალექს მაკლიშს, „დანფერმლაინთან“ ნუ მათამაშებთ-მეთქი. მწვრთნელმაც ანგარიში გამიწია, თუმც „დანფერმლაინთან“ სათადარიგო ვიყავი და რომელიმე თანაგუნდელი რომ დაშავებულიყო, იქნებ მაინც შევეყვანე მოედანზე.

**დავით თავართქილაძე**

# სანამ სირაძეს კოჭს უმაგრებენ, კობიაშვილი საუკეთესოა



მეორე ბუნდესლიგის ბოლო ორი ტურია, დავით სირაძეს ტრირის „აინტრახტში“ არ უთამაშია. არადა, ის ეროვნული ნაკრების კანდიდატად ითვლება და მისი გერმანული კარიერაც საკმაოდ ყურადსაღებია. სირაძეს გუშინ დავურეკეთ ტრირში

— ბოლო ტურში „დუისბურგთან“ სამატჩო განაცხადშიც არ ვყოფილვარ, რადგან მწვრთნელმა, პაულ ლინცმა მითხრა, ასი პროცენტით მზად არ ხარო.

— რაშია საქმე, ფორმიდან ამოვარდი?

— სეზონის დაწყების წინ ვარჯიშზე თანაგუნდელმა კლაუს გრეშკოვიაკმა მარჯვენა კოჭში რომ მომარტყა, ის ტრავმა გამიმიზეზდა. სურათი გადამიღეს და მითხრეს, რომ კოჭის მყესი კვლავ დაზიანებულია. ჰოდა, ექიმებმა არ ურჩიეს მწვრთნელს ჩემი თამაში.

— თამაშს როდის შეძლებ?

— კვირას „კოტბუსს“ ვმასპინძლობთ და იქნებ ვითამაშო კიდეც. ახლა კოჭზე ნაირგვარ მასაჟებს მიკეთებენ და ალბათ მალე ბოლომდე მომირჩება.

— უთამაშებლობის გამო ნაკრებში გამოძახების შანსიც გეკარგება — 17 ნოემბერს დანიას ვეთამაშებით და როგორ ფიქრობ, მანამდე მოასწრებ რამდენიმე თამაშს მეორე ბუნდესლიგაში და ალენ ჟირესის ყურადღების მიქცევას?

— ამის შესახებ ლინცსაც კი ველაპარაკე. მან მითხრა, მთავარი ჯანმრთელობაა და ნაკრებში შენს გამოძახებას რაც შეეხება, ყველანაირად ხელს შეგიწყობო.

— პირველი ბუნდესლიგის ბოლო ტურში ქართველთაგან მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა...

— „შალკეს“ ახალი მწვრთნელი რალფ რანგნიკი კობიაშვილს გამთამაშებლად ათამაშებს და ამ დროისთვის კობიაშვილი „შალკეში“ მართლაც საუკეთესოა, ძალიან ძლიერად თამაშობს.

**დავით თავართქილაძე**

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# ზურა ჩემზე უკეთესი ფეხბურთელია?

## შვილი თბილისშიც მენატრება, ის რეინჯერსიდან მალე წავა



*ახალ თაობას შევახსენებთ, რომ ნოდარ ხიზანიშვილი თბილისის „დინამოს“ მცველი გახლდათ, დიუსელდორფის ტრიუმფის ერთ-ერთი მონაწილე, ვინც 1981 წლის 13 მაისს კოცნა გამოგვიგზავნა ტელეეკრანიდან...*

*საქართველოს ნაკრებისა და „გლაზგო რეინჯერსის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი კი ნოდარის ვაჟია, ხოლო თუ რა კლასის და გაქანების ფეხბურთელია ზურა, ამის შეხსენება არავის სჭირდება.*

*რეინჯერსელ ხიზანიშვილზე საუბარს ექსდინამოელი ხიზანიშვილი ზურას ბავშვობით იწყებს — როგორი იყო მისი გზა დიდი ფეხბურთისკენ და როგორი პიროვნებაა ის — ამას ჰყვება მამა შვილზე.*

**დავით თავართქილაძე**



როგორც ყველა ფეხბურთზე შეყვარებული ბავშვი, ზურაც ბურთით იძინებდა და იღვიძებდა. ჩვენ მაშინაც დიღმის მასივში ვცხოვრობდით და ზურამაც პირველი საფეხბურთო განათლება იქ, ეზოში მიიღო. ის კარში არასოდეს ჩამდგარა, რადგან სულ წინ, ბურთთან უყვარდა ყოფნა. ბავშვობაში ზურას საფეხბურთო ტრავმა არ მიუღია, თუმც ხიფათიანი ბავშვი კი იყო. ერთხელ წარბიც კი გაუსკდა და ნაკერები ახლაც ემჩნევა.

რაც შეეხება საფეხბურთო სკოლებს, ზურამ რამდენიმე მოიარა — ჯერ „დინამო“, შემდეგ „ავაზა“, მერე სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი, ბოლოს ისევ „დინამო“. ჩემი დაჟინება არ ყოფილა, ზურას თავად სურდა დაცვაში თამაში, ალბათ იმიტომაც, რომ მეც მცველი ვიყავი.

არც ის მომითხოვია შვილისგან, გინდა თუ არა, შენც ფეხბურთელი უნდა გამოხვიდე-მეთქი. ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა ზურა მეოთხე-მეხუთე კლასში იყო. — მაშინ კარგად შევამჩნიე მისი ის საფეხბურთო ნიუანსები, რითაც მას სერიოზული კარიერის შანსი ექნებოდა. სხვათა შორის, მეოთხე-მეხუთე კლასამდე ზურა საკმაოდ კარგად სწავლობდა სკოლაში, მაგრამ მერე და მერე, როცა ფეხბურთისკენ გააკეთა არჩევანი, სწავლას ჩამორჩა.

მისი მთავარი კოზირი ყოველთვის საფეხბურთო ინტელექტი იყო. ზურას აქვს იმის უნარი, რომ წინასწარ გათვალოს რამდენიმე სვლა — ეს დიდი ნიჭია. მე მურთაზ ხურცილავას მსგავსი არ მინახავს — ასეთ კაცს მინდორზე ყოველთვის უნდა დაუჯერო, როცა გკარნახობს. ზურას ხურცილავას არ ვადარებ, მაგრამ ასეთი ინტელექტი ჩემს შვილს ყოველთვის ჰქონდა — მოედანზე სწორი კარნახი ყველას როდი შეუძლია.

ბავშვობაში ზურას ძალიან ბევრი რამ აინტერესებდა, თითქმის ყველაფერი, მათ შორის სპორტის ნებისმიერი სახეობაც, მაგრამ ის ფეხბურთელად დაიბადა.

ფეხბურთის მიღმა ზურას ყველაზე გამორჩეული თვისება ისაა, რომ ძალიან მეგობრულია — ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ზურა ჩემი შვილია. როცა ზურა თბილისში ჩამოდის, მაინც მენატრება, რადგან სულ მეგობრებთანაა. ეს ფეხბურთელისთვისაც დიდი პლუსია. საქართველოშიც ყოფილან და არიან ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც, ცოტა არ იყოს, კარჩაკეტილად ცხოვრობენ, ოჯახის იქით არ იყურებიან — ყველაფერი ეს მინდორზეც გადადის.

...ზურა 18 წლისაც არ იყო, როცა იოჰან ბოსკამპმა ეროვნულ ნაკრებში ათამაშა. იმ დროისთვის ზურა, ფაქტობრივად, „დინამოს“ მეორე გუნდში იყო. როცა ბოსკამპი საქართველოდან წავიდა, ზურა „დინამოდან“ გაუშვეს. მაშინ „დინამო 2“-ს „თბილისი“ დაარქვეს და ისიც იქ გადავიდა, თუმც გუნდი მალე დაიშალა და ზურა რევაზ ძოძუაშვილის დაჟინებული თხოვნით „ლოკომოტივში“ აღმოჩნდა. ძალიან გული დამწყდა, ზურა „დინამოდან“ რომ გაუშვეს, მაგრამ ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. თანაც ყველაფერმა ამან მაინც დადებითი როლი შეასრულა ჩემი შვილის კარიერაში. ზურას ვარდებით მოფენილი გზა არ გაუვლია, სადაც სირთულეებს წააწყდებოდა, გაორმაგებული ჟინით მოქმედებდა. მაშინაც მითხრა, აი, ნახავ, აწი რასაც გავაკეთებ და მივაღწევო.



„დინამოდან“ წამოსვლა ერთია, მაგრამ იმის გახსენებაც არ მინდა, რაც ზურას ლონდონის „არსენალში“ ყოფნის დროს გადახდა თავს, თუმც ტრანსფერი რომც შემდგარიყო, 18 წლისა ალბათ მყისვე ძირითადში ვერ მოხვდებოდა. ამის შემდეგ ზურა „დანდიში“ წავიდა, სადაც უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა.

ზურა ჩემზე უკეთესი ფეხბურთელია? ამ კითხვას ასე ვპასუხობ: მე მკვეთრად მაკლდა ის პლუსები, რაც ზურაზე ჩამოვთვალე. ზურა უფრო გახსნილი ფეხბურთელი და პიროვნებაა, ვიდრე მე. ზურას სხვადასხვა პოზიციებზე თამაშიც უფრო კარგად შეუძლია, ვიდრე ეს მე შემეძლო. ზურა ბრწყინვალედ თამაშობს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეც. მას ჩემზე მეტი ტალანტი აქვს.

ზურას მის თამაშზე თითქმის ყოველთვის ვესაუბრები მატჩის წინ თუ მატჩის შემდეგ. ნაკრების თურქეთთან მატჩისთვის ტრაპიზონში მეც ჩაველი. ჰაკან შუქური რამდენჯერმე შეეცადა, ზურა პროვოკაციაზე წამოეგო, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მისი ასაკი იცოდა. საერთოდ, ქართველებს მოთმინების უნარი არ გვაქვს, მაგრამ ზურა შუქურის პროვოკაციას არ აჰყვა, თამაშის შემდეგ ისიც კი მითხრა, იმის მოლოდინში ვიყავი, შუქურს აქეთ წამოეწყო ჩხუბიო.

უკრაინასთან მატჩზეც უნდა ვთქვა. ანდრეი შევჩენკო ოლეგ ბლოხინის მსგავსი ფეხბურთელია, — ბლოხინი ისეთი იყო, არც თავს ზოგავდა და არც მეტოქეს. შევჩენკოს ზურას წინააღმდეგ პროვოკაციულად არ უთამაშია, მაგრამ სულ მსაჯზე ზემოქმედებას ცდილობდა. ზურამ შევჩენკოს წინააღმდეგ ვითომ კარგად ითამაშა, მაგრამ შევჩენკომ გოლი მაინც გაგვიტანა, რაც, ვფიქრობ, ზურას ბრალი იყო, მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა — როცა შევჩენკო საგოლედ ურტყამდა, ზურასა და მას შორის საკმაოდ დიდი დისტანცია იყო.

...„რეინჯერსი“ დიდი გუნდია და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ძლიერად ვერ თამაშობს, ზურას დიდ საქმეს უკეთებს — სხვა რომ არაფერი, ჩემპიონთა ლიგაში თამაშით ზურამ ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინა. ის ძალიან მალე წავა „რეინჯერსიდან“, თუმც გლაზგოელებს მასთან კონტრაქტის გაგრძელება სურთ. ისე, ზურას ძალიან ეხმარება ისიც, რომ „რეინჯერსში“ მარტო არაა — შოთა არველაძეც რომ იქაა, ეს მისთვის ერთობ მნიშვნელოვანია.

რაც ზურა შოტლანდიაშია, მასთან მხოლოდ ერთხელ ჩაველი ჩემპიონთა ლიგის მატჩზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ოჯახის დანარჩენი წევრები კი ზურასთან ყოველწლიურად ჩადიან.

სხვა რა, ვფიქრობ, მე და ჩემი შვილი მეგობრები ვართ. ყოველ შემთხვევაში, ზურას ისე ვუყურებ, როგორც მეგობარს.

# კახას ტური

## იტალია

### სერია A. VIII ტური

**მილანი 3:0 ატალანტა**

1:0 ტომასონი (53), 2:0 კალაძე (71), 3:0 სერჟინიო (90)
**მილანი**: დიდა, კაფუ, კოლოჩინი (კოსტაკურტა 64), მალდინი, კალაძე, ბროკი, პირლო, რუი კოშტა, კაკა (სერჟინიო 85), ტომასონი (ამბროზინი 65), შევჩენკო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**ატალანტა**: ტაიბი, ინჩენტი, გონელა, ნატალი, რივალტა, ძენონი, ალბერტინი, მარკოლინი (პაცინი 73), ლაცარი, მონტოლივო (ინაჩიო პია 66), ბუდანი (ბერნარდინი 75)
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
გაფრთხილება: მალდინი, კოსტაკურტა
მსაჯი: ბერტინი
57 531 მაყურებელი

**ბოლონია 0:1 უდინეზე**

0:1 დინო ფავა (55)
*ლოკატელიმ ვერ გაიტანა პენალტი (აცილა, 17)*
**ბოლონია**: პალიუკა, დაინო, ნასტასე, ტორიზი (სუსი 46), პეტრუცი, კაპუანო (ჩიპრიანი 59), ზაგორაკისი, კოლუჩი (ლოვიზო 71), ამოროზო, ლოკატელი, ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
**უდინეზე**: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, კლოდრუპი, მაური (პინცი 71), პაზიენცა, პიზარო (კრიბარი 82), მუნტარი, იანკულოვსკი, ფავა (ნატალე 76), დი მიკელე
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: პაზიენცა, კოლუჩი, ლოვიზო
მსაჯი: აუროლდი
15 000 მაყურებელი

**კალიარი 2:1 პარმა**

1:0 აბეიხონი (45), 1:1 მარკიონი (63), 2:1 ესპოზიტო (83)
**კალიარი**: კატერინაკისი, ლოპესი, ბეგა, ლორია, აგოსტინო, აბეიხონი, კონტი (დელ ნევო 69), გობი, ესპოზიტო, სუაცო (ლანგელა 74), ძოლა (ბიანკი 82)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
**პარმა**: ფრეი, ბონერა, ბოვო, პ. კანავარო, პოტენცა (რუოპოლო 88), ბოლანო (გრელა 55), სიმპლისიო (კონტინი 44), მარკიონი, მორფეო, ბრეშიანო, ჯილარდინო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: პ. კანავარო, კონტი, ბეგა, გრელა, მორფეო, მარტიონე
გაძევება: პ. კანავარო (42)
მსაჯი: რიცოლი
15 000 მაყურებელი

**ლაციო 2:0 მესინა**

1:0 მამფრედინი (35), 2:0 დე სოუსა (64)
**ლაციო**: სერენი, ოდო, ტალამონტი, კოუტუ, სივილია (ლოპესი 61), ჯანიკედა, დაბო, მანფრედინი, პანდევი (დი კანიო 86), როკი, მუცი (დე სოუსა 52)
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
**მესინა**: სტორარი, ძანკი, არონიკა, რეზაეი, პარიზი, სულო (ამორუზო 65), კოპოლა (დონატი 69), კუჩარი, გონიასი (დი ნაპოლი 46), ილიევი, ძამპანა
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ჯანიკედა, ძანკი, დე სოუსა
მსაჯი: კასარა
30 000 მაყურებელი

**კიევო 0:2 სამპდორია**

0:1 ვოლპი (2), 0:2 დიანა (36)
**კიევო**: მარკეჯანი, ნორო, მანდელი, დანა, მალაგო, სემიოლი, რიდი (დე ფრანჩესკინი 84), ძანკეტა (ტირიბოკი 74), დ. ფრანჩესკინი (ბარონიო 46), ამაური, პელისიერი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა



REUTERS მილანიდან

მილანი — ატალანტა. კახა კალაძის გოლამდე იონ დალ ტომასონმა გაიტანა

**სამპდორია**: ანტონიოლი, ძენონი, ფალკონე, პავანი, საკეტი, დიანა, ვოლპი, პალომბო, დონი (ედუსეი 66), ფლაკი (კუტუზოვი 76), ბაცანი (როსინი 83)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინი
გაფრთხილება: დიანა, ამაური
მსაჯი: პაპარესტა
8 334 მაყურებელი

**ლეჩე 2:2 ინტერი**

0:1 ადრიანო (4), 0:2 მარტინსი (33), 1:2, 2:2 ბოჟინოვი (36, 49)
**ლეჩე**: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, აბრუცეზე (სილვესტრი 73), ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა (ერიომენკო 79), პინარდი (ბაბუ 69), ბიელანოვიჩი, ბოჟინოვი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
**ინტერი**: ფონტანა, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, პასკუალე, ვან დერ მეიდე (დავიდსი 58), ვერონი (კრუზი 88), კამბიასო, სტანკოვიჩი, მარტინსი (კარაგუნისი 88), ადრიანო
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: სტოვინი, სილვესტრი, ჯაკომაცი, დავიდსი
მსაჯი: როდომონტი
27 000 მაყურებელი

**პალერმო 1:2 ლივორნო**

1:0 მუტარელი (5), 1:1 ვიდიგალი (38), 1:2 ლუკარელი (61)
**პალერმო**: გუარდალბენი, ძაკარდო (გასბარონი 74), ბარძალი, ბიავა, გროსო, გონსალესი (და სილვა 46), ბარონე, კორინი, მუტარელი, ბრიენძა (ფარიასი 66), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
**ლივორნო**: ამელია, მელარა (გრანდონი 79), ვარგასი, გალანტე, ბალერი, ვიდიგალი, პასონი, გრაუზო (პფერცელი 83), დოგა (ჯალომბარდო 51), კ. ლუკარელი, დანილევიჩიუსი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ბარძალი, ბალერი, მუტარელი, და სილვა
მსაჯი: მორანტი
35 000 მაყურებელი



REUTERS რომიდან

ლაციო — მესინა. დე სოუსას გოლმა სტუმრებს შანსი აღარ დაუტოვა

**რეჯინა 1:2 ფიორენტინა**

1:0 პარედესი (58), 1:1 მარესკა (72), 1:2 მიკოლი (87)
**რეჯინა**: პავარინი, ძამბონი, კანარზა, ფრანჩესკინი, მესტო, ტადესკო, პარედესი (ესტევესი 89), კოლუჩი (მორაბიტო 67), ბალესტრი, ნაკამურა (განჩი 86), ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
**ფიორენტინა**: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დაინელი, კიელინი, არიატი, მარესკა (პიანჯერელი 78), ობოდო, იორგენსენი, ნაკატა (ფანტინი 70), მიკოლი
მწვრთნელი: სერჯო ბუზო
გაფრთხილება: ობოდა, ნაკამურა, ბონაცოლი, მარესკა, არიატი
მსაჯი: ტომბოლინი
15 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:1 სიენა**

0:1 პეკია (18)
**ბრეშა**: კასტელაცი, მარტინესი, დი ბიაჯო, მარეკო, დალამანო, გუანა, მილანეტო (ჯადიდი 79), ალმეიდა (დელ ნერო 40), მანინი (ნიგაარდი 82), სკული, კარაჩოლი
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
**სიენა**: ფორტინი, ჩირილო, პორტანოვა, არჯილი, ფალზინი, პეკია, დი დონატო, ვერგასოლა (არდიტო 60), კიუმენტო, კიეზა (ფლო 77), გრაფიედი (ნიკოლა 70)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
გაფრთხილება: ფალზინი, დი ბიაჯო
მსაჯი: დონდარინი
9 000 მაყურებელი

თამაშის დამთავრებამდე 19 წუთით ადრე კრისტიან ბროკიმ „ატალანტას" კარისკენ ძლიერად დაარტყა, მაგრამ მასიმო ტაიბიმ მოიგერია... თუმცა „მილანის" შეტევა ამით არ დასრულებულა, ბურთი ანდრეი შევჩენკომ იგდო და კახა კალაძეს დაუგორა, კალაძემ კი შორეულ კუთხეში ოსტატურად ჩასვა.

სხვათა შორის, კალაძეს მანამდეც შეეძლო თავი გამოეჩინა. ეს პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა, როდესაც მილანელი მცველი ნუთიექსი მეტრიდან ბურთს ეგრევე წრედებულ ცხრიანში უპირებდა შეგდებას, მაგრამ ტაიბიმ ჩინებული რეაქცია გამოავლინა და კარი იხსნა.

სხვა მხრივ კი რა, კახა კალაძემ ამჯერად მთელი მატჩი ითამაშა, თუმცა ის შემადგენლობა, რომელსაც კარლო ანჩელოტიმ ბერგამოელების ძლევა ანდო, ძირითადი შემადგენლობისგან განსხვავდებოდა და ეს სწორედ დაცვას ეტყობოდა — „შავ-წითელი" ფორმით პირველად ითამაშა არგენტინელმა ფაბრისიო კოლოჩინიმ, რომელიც 64-ე წუთზე უხუცესმა ბილი კოსტაკურტამ შეცვალა, ხოლო ალესანდრო ნესტა და ჯუზეპე პანკარო ისვენებდნენ.

კარლო ანჩელოტი: „პირველი ტაიმი უსახური იყო, რაც დაძაბული დერბის შემდეგ ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მეორე ტაიმში სულ სხვანაირად ვითამაშეთ და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ".

სამი დღის წინანდელი მილანური დერბის მეორე მონაწილემ, „ინტერმა" კი ჩინებული თავდასხმის და უნიჭიერესი ბულგარელი თავდამსხმელის, ვალერი ბოჟინოვის გუნდთან, „ლეჩესთან" 2:2 ითამაშა.

„პირველ ექვს წუთში ოთხი დიდებული საგოლე მომენტი გვქონდა და ვალდებულები ვართ, ასეთი მომენტებიდან მეტი სარგებელი ვნახოთ. მას მერე, რაც 2:0 დავწინაურდით, მოვდუნდით და მეტოქეს ორი გოლის გატანის შესაძლებლობა მივეცით. ვწუხვარ, რადგან ბიჭებმა მოინდომეს, მაგრამ მაინც ვერ მოიგეს. ისე კი, ბოლოს და ბოლოს, ასეთ ვერმოგებას წერტილი უნდა დაესვას. ჩვენ, სულ მცირე, ექვსი ქულა უკვე გავფლანგეთ" — განაცხადა მატჩის შემდეგ „ინტერის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში „ლეჩემ" თავდასხმაში ბრწყინვალედ თამაშთან ერთად საძაგლად ითამაშა დაცვაში და მოწინააღმდეგეს მართლაც მისცა კიდევ უფრო მეტი გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ თვით ისეთმა ნაქებმა ფორვარდმა, როგორიც ადრიანოა, ვერ მოახერხა კარში ზუსტად დარტყმა.

„კიევომ" 0:2 წააგო შინ, „სამპდორიასთან", ასე რომ, დაუმარცხებელ თამაშთა ძეწკვი გაუწყდა. აღსანიშნავია, რომ „მფრინავმა ვირებმა" ორი მოულოდნელი გოლი ორწუთიან მონაკვეთში, 33-ე და 35-ე წუთებზე გაუშვეს.

მარიო ბერეტა, „კიევოს" თავკაცი: „მეორე ტაიმში უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერი მოვახერხეთ. ახლა, კვირას, „იუვენტუსთან" უნდა ვითამაშოთ და ბატარეის ხელახლა დატენვაა საჭირო".

„ლაციომ" კი, როგორც იქნა, შინ გაიმარჯვა, „მესინას" მიმდინარე სეზონში და ზედიზედ მეორე მარცხი აგემა. დიახ, წინა ტურში ანუ კვირას ორივე გუნდმა წააგო — რომაელები პარმაში დამარცხდნენ, ხოლო მესინელებს მესინაში ზემოთ ნაქებმა „ლეჩემ" 4:1 გადაურბინა — ასე რომ, ამჯერად ორივე დიდად იყო მოწადინებული, თუმცა გამარჯვება ერთს ერგო. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ კვირას „ლეჩესთან" შეხვედრაში დაშავებული „მესინას" მოთამაშე, დომენიკო ჯამპა ორი თვე იმკურნალებს. მას ბარძაყზე უამრავი ნაკერის დადება დასჭირდა.

**პაპუნა ძიძია**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:2 | 13 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 10 | 12 |
| 2 მილანი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:6 | 8 | 17 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 8 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 9 |
| 3 ლეჩე | 8 | 4 | 3 | 1 | 20:11 | 9 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 7 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 5 |
| 4 კალიარი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:10 | 1 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 5 კიევო | 8 | 3 | 4 | 1 | 7:6 | 1 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 |
| 6 ინტერი | 8 | 2 | 6 | 0 | 16:13 | 3 | 12 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 5 | 1 | 4 | 0 | 10:9 | 1 | 7 |
| 7 სამპდორია | 8 | 4 | 0 | 4 | 8:7 | 1 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 3 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 |
| 8 ლაციო | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 9 მესინა | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 10 პალერმო | 8 | 2 | 4 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 11 ფიორენტინა | 8 | 2 | 4 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 12 უდინეზე | 8 | 2 | 3 | 3 | 9:8 | 1 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 |
| 13 რომა | 7 | 2 | 3 | 2 | 13:13 | 0 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 3 |
| 14 ბოლონია | 8 | 3 | 0 | 5 | 7:9 | -2 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 15 ბრეშა | 8 | 3 | 0 | 5 | 8:14 | -6 | 9 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 |
| 16 ლივორნო | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 17 სიენა | 8 | 2 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 4 |
| 18 რეჯინა | 8 | 1 | 4 | 3 | 5:8 | -3 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 19 პარმა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | -7 | 1 |
| 20 ატალანტა | 8 | 0 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 4 | 4 | 0 | 3 | 1 | 7:8 | -1 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 6 |
| ადრიანო (ინტერი) | 6 |
| ბოჟინოვი (ლეჩე) | 6 |
| შევჩენკო (მილანი) | 5 |
| ბიელანოვიჩი (ლეჩე) | 5 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 5 |
| ლუკარელი (ლივორნო) | 5 |

**IX ტური**

31 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ფიორენტინა | : | ლეჩე |
| ინტერი | : | ლაციო |
| იუვენტუსი | : | კიევო |
| ლივორნო | : | ბრეშა |
| მესინა | : | რეჯინა |
| პარმა | : | ატალანტა |
| რომა | : | კალიარი |
| სამპდორია | : | მილანი |
| სიენა | : | ბოლონია |
| უდინეზე | : | პალერმო |

# ბარბარესობა ჰამბურგში

## გერმანია

### ბუნდესლიგა. X ტური

**ჰანოვერი 3:1 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ამანატიდისი (26), 1:1 ტარნატი (33), 2:1, 3:1 სტაინერი (65, 86)
ჰანოვერი: ენკე, შრიოტერი, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დე გუცმანი (ვინისიუსი 90), კრუპნიკოვიჩი, შტენდელი, თ. კრისტიანსენი (ვალნერი 88), სტაინერი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ლემბი, ჰერჩი, ვენცელი, დრეშერი (ჩატო 46), ნურმელა (ჰალილ ალტინტოპი 69), რიდლი, ენგელარდტი (ტებერი 81), ზანდი, იანკერი, ამანატიდისი
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ზანდი, რიდლი, ჩატო, ლემბი
მსაჯი: ალბრეხტი
24 536 მაყურებელი

**ჰერტა 0:1 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (44)
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, მადლუნგი, ვან ბურიკი, ფატი (ვიშნიარეკი 46), დარდაი (კ. მიულერი 76), ტ. მარქსი, ბაშთურქი, მარსელინიო, ჟილბერტო, ბობიჩი (რაფაელი 61)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბერგდოლმო, მადუნი, ვიორნსი, ნ. იენსენი, კრინგე (ბრჟენსკა 83), კელი, დედე, როსიცკი, ევერტონი (სენესიე 90), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვეიკი
გაფრთხილება: მარქსი, მარსელინიო, კელი
მსაჯი: შიპელი
48 428 მაყურებელი

**ბაიერნი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0, 2:0 პიზარო (24, 45)
ბაიერნი: კანი, გიორლიცი, ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, სანიოლი, ჰარგრივსი, ფრინგსი (დემიკელისი 84), შვაინსტაიგერი (შოლი 72), მაკაი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ვოლფსბურგი: იენჩი, კ. რიტერი, კიროგა, ჰოფლანდი, ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, დალესანდრო (შნოორი 63), ბრდარიჩი (ტოპიჩი 75), კლიმოვიჩი (ჰრგოვიჩი 84), მ. პეტროვი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: გიორლიცი, შნოორი
მსაჯი: ტრაუტმანი
37 000 მაყურებელი

**ბოხუმი 3:0 მიონხენგლადბახი**

1:0 პროისი (54), 2:0 ვოში (85), 3:0 მადსენი (90)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა (პროისი 29), მაიხელბეკი, პ. ბიონიგი, ცდებელი, მალტრიცი, მისიმოვიჩი, ვოში (ტ. გუდიონსონი 88), პ. მადსენი, ლოკვენცი (ბეკმანი 90)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
მიონხენგლადბახი: კამპა, კორჟინეცი, პლეტჩი, შტრასერი, კარნელი (ბროიხი 76), გაედე, ულიხი (შლაუდრაფი 76), კლუგე, ჰაინცი (კორელი 63), სვერკოში, ვან ჰუტი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: ლოკვენცი, შტრასერი, მისიმოვიჩი, ვან ჰუტი, შტრასერი, კლუგე, გაედე, ბროიხი
გაძევება: შტრასერი (59)
მსაჯეი: ვაინერი
30 975 მაყურებელი

**ნიურნბერგი 0:2 შალკე**

0:1 აილტონი (10), 0:2 სანდი (45)
ნიურნბერგი: შეფერი, რაინჰარდტი, ჰაიტო, პაულუსი, ლ. მიულერი, ლარსენი (სლოვაკი 70), კანტალუპი, მინტალი, ს. მიულერი, ვიტეკი (კაისლინგი 62), შროტი (ვაგეფელდი 54)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შალკე: როსტი, ვარელა, ბორდონი (კლასენერი 62), ვალდოხი, პანდერი, პოულსენი, ქობიაშვილი, ლინკოლნი (ვერმანტი 75), ასამოა (ჰ. ალტინტოპი 63), სანდი, აილტონი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ლარსენი, ბორდონი, ვარელა, ქობიაშვილი, პაულუსი
გაძევება: ჰაიტო (19), პაულუსი (33)
მსაჯი: ფროილიხი
32 115 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:0 ფრაიბურგი**

1:0 მპენზა (5), 2:0, 3:0, 4:0 ბარბარესი (28, 52, 57)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე, ბოულაროუზი, ვან ბუიტენი, კლინგბეილი, ვიკი (ბენჟამინი 81), იაროლიმი, ბაინლიხი (მაჰდავიკია 62), ბარბარესი (რომეო 70), მპენზა, ტაკაჰარა
მწვრთნელი: თომას დოლი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, მოჰამადი, დიარა, რიტერი (აოგო 70), ვილი, კრუპკე, კულიბალი, კაირო, ტანკო (მიულერი 46), სანუ (დორნი 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: შლიკე, ვილი
გაძევება: დიარა (18)
მსაჯი: ფლაიშერი
37 967 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:2 ვერდერი**

1:0 დელპიერი (45), 1:1 კლოზე (78), 1:2 ვალდესი (80)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, დელ პიერი, ბაბელი (საბიჩი 85), ლამი, სოლდო, მაისლერი (გომესი 85), ჰელდტი (ტიფერტი 51), გლები, კურანი, კაკაუ
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ვერდერი: რაინკე, დავალა (იენსენი 46), ისმაელი, ბაუმანი, შულცი (ვალდესი 62), სტალტერი, ერნსტი, მანინი, მიკუ, კლოზე (ბანეკი 89), კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰინკელი, გლები, მაისნერი, ისმაელი, დავალა, ერნსტი, შულცი, კლოზე
გაძევება: მანინი (66)
მსაჯი: გრაიფი
41 000 მაყურებელი

**მაინცი 3:1 ჰანზა**

1:0 გერბერი (54), 2:0 ნ. ვაილანდი (70), 2:1 არვიდსონი (81), 3:1 კრამნი (90)
მაინცი: ვახე, აბელი, მ. ფრიდრიხი, ნოვაკი, ვაიგელტი, დ. ვაილანდი (ბაბაცი 75), გერბერი, აზაუაგი (კრამნი 83), და სილვა, ნ. ვაილანდი (კეისი 71), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ჰანზა: შიობერი, მიორლე, ლაპაჩინსკი, მადსენი, ტიკუზუ, ლანცი, მეგლე, რასმუსენი (არვიდსონი 77), რიდლევიჩი, დი სალვო, პრიკა (მაული 39)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
გაფრთხილება: ვაიგალტი, არვიდსონი, მეგლე, ლანცი
მსაჯი: მაიერი
20 300 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:2 არმინია**

0:1 ბაკლი (20), 1:1, 1:2 ვორონინი (50, 54), 2:2 ვატა (71), 3:2 ვორონინი (78)
ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, რამელო, პლასენტე (ფრაიერი 46), შნაიდერი, პონტე (ბაბიჩი 90), კრჟინოვეკი, ბერბატოვი (ბალიტჩი 81), ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
არმინია: ჰაინი, ლენსე (რადუჩანუ 58), ლანდკამპი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაიერი (დურო 58), ოვომოიელა, სკელა, ბაკლი (მარიჩი 86), ვატა
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: რამელო, პონტე, ვატა
მსაჯი: შმიდტი
22 500 მაყურებელი





თომას დოლს სერგი ბარბარესმა ნდომა გაუმართლა

„შტუტგარტი“ ზედიზედ მეორედ დამარცხდა და პირველ ადგილზე გადასვლის შანსი ვერ გამოიყენა. მათიას ზამერის გუნდი მეთიუ დელპიერის თავურით დაწინაურდა. დელპიერი გერმანულ კლუბში „ლილიდან“ გადაბარგდა და სადებიუტო მატჩში გაიტანა კიდეც, მაგრამ „ვერდერი“ მას შემდეგ გახელდა, რაც ლუდოვიკ მანინი გაუძევეს. კლოზემ გაათანაბრა, ნელსონ ვალდესმა კი უმალ მეორე მიაყოლა.

გელზენკირხენის „შალკემ“ მიჯრით მეოთხე შეხვედრაში იმარჯვა. ასე რომ, ახალი მწვრთნელის, რალფ რანგნიკის წარმატებული სვლა ჯერჯერობით გრძელდება. „ხუმარებმა“ „ნიურნბერგს“ პირველივე ტაიმში წყვილი გოლი გაუტანეს და ეს იკმარეს. ჯერალდ ასამოა თომას პაულუსმა საჯარიმოში საპენალტედ წააქცია. პაულუსმა ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო აილტონმა თერთმეტი მეტრიდან ანგარიში გახსნა. ამ მომენტიდან რვა წუთში ტომაშ ჰაიტო სტუმარ ლინკოლნს ეუხეშა, რისთვისაც მსაჯმა გააძევა. ჰაიტოს მალე პაულუსიც მიჰყვა, რადგან მეორედ გააფრთხილეს და წითელი ბარათიც აუფრიალეს. ათკაცა „ნიურნბერგს“ მეტოქესთან ბრძოლა გაუჭირდა და შესვენებამდე წუთით ადრე მეორე გოლი გაუშვა. ჯერალდ ასამოას ჩაწოდებულ ბურთს ებე სანდმა თავი საგოლედ დაუხვედრა. მასპინძლებმა „შალკეს“ საჯარიმოში მეორე ტაიმის დასაწყისში სახიფათოდ ერთხელ გაიელვეს. რობერტ ვიტეკი მცველებს დაუსხლტა, დაარტყა კიდეც, მაგრამ ფრანკ როსტმა ბურთი ფეხით მოიგერია.

„ჰამბურგში“ თომას დოლის მისვლის დღიდან გუნდი გამოსწორდა. სტუმრად დორტმუნდის „ბორუსია“ დაჩაგრა, შინ კი „ფრაიბურგი“ დააჩოქა. მასპინძელთა ბოსნიელმა სერგი ბარბარესმა ნახევარი საათში ჰეთ თრიქი შეასრულა. მანამდე დამხვდურები ემილ მპენზამ დააწინაურა, ხოლო სტუმარი ბუბაქარ დიარა ნაოჰირო ტაკაჰარასთან უხეშობისთვის [illegible] გაუშვეს. ბარბარესმა პირველი [illegible] კეს პასით გაიტანა, მეორე კი თავად გამოჩარხა — მარცხენა ფლანგიდან ცენტრისკენ შეენთო და ბურთი ცხრიანში შეჭედა. მესამე საგოლე კომბინაციაში მას ემილ მპენზა დაეხმარა. სერგი ბარბარესი, რომელსაც კლაუს ტოპმიოლერი არ სწყალობდა, თომას დოლის ჯილა გახდა. აღსანიშნავია, რომ დოლმა კარიერა 2000 წელს „ჰამბურგში“ დაასრულა და მისი გამოსათხოვარი მატჩიც „ფრაიბურგთან“ 5:0 გამარჯვებით დასრულდა.

ჰამბურგში თუ ბარბარესმა გაილაღა, ლევერკუზენში ზეიმი ანდრეი ვორონინმა მოიწყო. ჰეთ თრიქის შესასრულებლად მან 28 წუთი იკმარა. ბილეფელდის „არმინიამ“ 22 წლის მანძილზე ლევერკუზენში მხოლოდ ერთხელ შეძლო გამარჯვება და ამჯერად მეორეს „აცხობდა“ — შესვენებამდე „არმინია“ დელრონ ბაკლიმ დააწინაურა. შესვენების შემდეგ ვორონინმა ჯერ კარსტენ რამელოს პასით იხეირა, მერე მცველთა მოგერიებული ბურთი შეაბრუნა კარში, ხოლო სტუმარმა ფატმირ ვატამ ვორონინის შეცდომის შედეგად გაათანაბრა. უკრაინელმა შეცდომა მოგვიანებით გამოასწორა — ბერნდ შნაიდერისგან მიღებული ბურთი „არმინიას“ კარის ბადეში ააფართხალა.

ბუნდესლიგის დებიუტანტი „მაინცი“ კვლავ ხუთეულში ინარჩუნებს ადგილს, რადგან როსტოკის „ჰანზას“ სამი ქულა დაატოვებინა. როსტოკელებს, აქამდე სტუმრად თამაში არ წაეგოთ და ახლა ამის გემოც გაიგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### II ბუნდესლიგა

#### X ტური

**აინტრახტი 2:3 ალენი**

0:1 ბ. ნდიაიე (1), 1:1 ჩა (2), 1:2 ბ. ნდიაიე (11), 2:2 ვან ლენტი (39), 2:3 სვიტლიცა (82)

**კარლსრუე 2:2 ფიურტი**

0:1 ფაინბერი (30), 1:1 დანდი (68), 1:2 ს. როსლერი (74), 2:2 დანდი (88)

**კიოლნი 2:0 მიუნხენი**

1:0 პოდოლსკი (4), 2:0 ვოიგტი (39)

**ბურგჰაუზენი 2:0 უნტერჰახინგი**

1:0 იუნგა (4), 2:0 ჰერციგი (56)

**ერფურტი 1:0 ალემანია**

1:0 კროიცი (51)

**ზაარბრიუკენი 3:0 ობერჰაუზენი**

1:0 ჰაგნერი (36პ), 2:0 ბენჩიკი (41), 3:0 იორტულუ (83)

**დუისბურგი 4:3 ტრირი**

1:0 აჰინფუფი (4), 1:1, 1:2 ლაბაკი (11, 15), 2:2 აჰინფუფი (27), 2:3 პაჩინსკი (31პ), 3:3 დრესკი (42), 4:3 აჰინფუფი (66)

**დინამო 1:0 ესენი**

1:0 კენედი (33)

**კოტბუსი — აუე**

*გუშინ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 10 | 7 | 2 | 1 | 13:5 | 23 |
| დუისბურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 17:12 | 21 |
| კიოლნი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:14 | 20 |
| ალემანია | 10 | 5 | 3 | 2 | 23:9 | 18 |
| ბურგჰაუზენი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:13 | 17 |
| ზაარბრიუკენი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:11 | 14 |
| ალენი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| უნტერჰახინგი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:16 | 13 |
| ტრირი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 13 |
| მიუნხენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| აუე | 9 | 3 | 2 | 4 | 15:13 | 11 |
| აინტრახტი | 10 | 3 | 2 | 5 | 19:21 | 11 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | 10 |
| კოტბუსი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:10 | 10 |
| დინამო | 10 | 3 | 1 | 6 | 13:19 | 10 |
| ერფურტი | 10 | 2 | 4 | 4 | 5:13 | 10 |
| ობერჰაუზენი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ესენი | 10 | 1 | 4 | 5 | 15:23 | 7 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვოლფსბურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 16:11 | 5 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 9 |
| 2 შტუტგარტი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | 9 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |
| 3 ბაიერნი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:10 | 6 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 10 |
| 4 ვერდერი | 10 | 6 | 0 | 4 | 22:12 | 10 | 18 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 5 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 9 |
| 5 მაინცი | 10 | 5 | 3 | 2 | 17:13 | 4 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 |
| 6 შალკე | 10 | 6 | 0 | 4 | 13:13 | 0 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:8 | 2 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 6 |
| 7 ჰანოვერი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:11 | 5 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 |
| 8 ლევერკუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:16 | 1 | 15 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:6 | 8 | 13 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | -7 | 2 |
| 9 არმინია | 10 | 4 | 2 | 4 | 10:10 | 0 | 14 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 2 | 9 |
| 10 ჰამბურგი | 10 | 4 | 0 | 6 | 14:17 | -3 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 3 |
| 11 ჰერტა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:9 | 1 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 5 |
| 12 დორტმუნდი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:16 | -3 | 11 | 5 | 0 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 3 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 0 | 8 |
| 13 ნიურნბერგი | 10 | 2 | 4 | 4 | 16:18 | -2 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 11:13 | -2 | 5 |
| 14 ბოხუმი | 10 | 2 | 4 | 4 | 15:19 | -4 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:10 | -3 | 5 |
| 15 ფრაიბურგი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:16 | -7 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | -8 | 4 |
| 16 გლადბახი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:17 | -4 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 2 |
| 17 ჰანზა | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:14 | -10 | 0 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 |
| 18 ლაუტერნი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:20 | -9 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:11 | -5 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ნოივილი (მიონხენგლადბახი) | 8 |
| კლოზე (ვერდერი) | 7 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 6 |
| ბაკლი (არმინია) | 6 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 6 |
| მინტალი (ნიურნბერგი) | 6 |

**XI ტური**

30 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ლაუტერნი | არმინია |
| ფრაიბურგი | ჰერტა |
| დორტმუნდი | ლევერკუზენი |
| ჰანოვერი | ბოხუმი |
| გლადბახი | ბაიერნი |
| ვოლფსბურგი | მაინცი |
| ჰანზა | ნიურნბერგი |
| შალკე | შტუტგარტი |
| ვერდერი | ჰამბურგი |

# ლიგის თასის ჩხუბები

## ინგლისი

ლიგის თასი. 1/16 ფინალი

**ბირმინგემი 0:1 ფულემი**
0:1 რემბრიჯი (76)

**ჩელსი 1:0 ვესტ ჰემი**
1:0 კეჟმანი (57)

**მანჩესტერ სიტი 1:2 არსენალი**
0:1 ვამპერსი (78), 0:2 კარბასიონი (90), 1:2 ფაულერი (90)

**ნიუკასლი 2:1 ნორვიჩი**
1:0 ჯენასი (2), 2:0 ამეობი (42პ), 2:1 ჰაკერბი (56პ)

**საუთჰემპტონი 3:2 კოლჩესტერი**
0:1 დანსი (7), 1:1, 2:1 ბლაკსტოკი (50, 54), 2:2 ჰალფორდი (64), 3:2 ბლაკსტოკი (80)

**ბოლტონი 3:4დ.დ.(2:2) ტოტენჰემი**
1:0 კინგი(ს.კ. 27), 1:1 დეფო (44), 2:1 ოკოჩა (74პ), 2:2 ბუნიევჩევიჩი (84), 2:3 ბრაუნი (95), 2:4 დეფო (103), 3:4 ლ. ფერდინანდი (105)

**ჩარლტონი 1:2 კრ. პალასი**
1:0 ჰრეიდარსონი (5), 1:1 ფრიდმანი (41), 1:2 ტორგელე (54)

**ევერტონი 2:0 პრესტონი**
1:0 კარსლი (52), 2:0 ბენტი (89)

**მიდლსბრო 3:0 ძოვენთრი**
1:0 ნემეტი (4), 2:0 მორისონი (25), 3:0 გრემი (70)




ჩელსი — ვესტ ჰემი. მატეა კეჟმანს ეს გოლი წარბის გახეთქვად დაუჯდა

კარგა ხანია, ინგლისის ლიგის თასზე ამგვარი თამაშები არ ყოფილა. როგორც იტყვიან, ამ თასსაც ფასი დაედო. მინდორზეც და მისგარეთაც გვარიანი ამბები ხდებოდა. ოთხშაბათს „არსენალი" ეწვია „მანჩესტერ სიტის" მეორე შემადგენლობით და 78-ე წუთამდე გოლი ვერ გაუტანა. მერე დაბალი დარტყმით რობინ ვან პერსიმ გახსნა ანგარიში და მას დანიელ კარბასიონმა მეორეც მიაყოლა. „სიტის" ერთადერთი საპასუხო რობი ფაულერმა შეაგდო, რომლისთვისაც ეს კარიერაში მე-200 გოლი გამოდგა.

„ტოტენჰემმა" ერთგვარი რევანში აიღო ბოლტონში, „რიბოკის" სტადიონზე: თამაში შემოუტრიალა და დამატებით დროში 4:3 სძლია მასპინძლებს, რომლებთანაც წინა ტურში სალიგო თამაში წააგო.

ოღონდაც მთავარი სათასო ამბავი დატრიალდი შუა ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯსა" და მის შემოგარენში, სადაც „ვეტ ჰემის" ქომაგები ვერ შეეგუენ „ჩელსისთან" მარცხს. „ვესტ ჰემის" მეკარემ, ჯონ უოკერმა სასწაულები ჩაიდინა. „ჩელსი" „არსენალივით" არ გასულა ამ თამაშზე. ბრძოლა ძალიან მძიმე და სერიოზული იყო.

სერიოზულნი იყვნენ „ვესტ ჰემის" ფანებიც — თამაშის ერთადერთი გოლის ავტორს, სერბ მატია კეჟმანს წარბი ტრიბუნიდან ნასროლმა ფუნტიანმა გაუხეთქა. „ვესტ ჰემში" გამოზრდილ „ჩელსის" ვარსკვლავებს, ჯო კოულსა და ფრენკ ლამპარდსაც — [illegible] ხურდები. კოულს ბოთლიც აგემეს, თუმცა, პლასტმასისა. თავად თამაშისას ტრიბუნებზე 11 კაცი დაიჭირეს. მერე კი ჩხუბი იყო „სტემფორდ ბრიჯის" ახლო, „ფულემ ბროდვეის" სადგურთან, ასევე „სტემფორდ ბრიჯის" მეთიუ ჰარდინგის სახელობის ტრიბუნასთან.

ფეხბურთის ასოციაცია თავის მხრივ იძიებს საქმეს, სკოტლანდ იარდი კი თავის მხრივ.

ეს ამბავი თითქოს გაგრძელებაა იმ ამბისა, წინა დღით რომ მოხდა „მილუოლ" — „ლივერპულის" მატჩისას, სადაც პოლიციამ ხურდების წვიმა იგემა მერსისაიდელთაგან.

„ვესტ ჰემის" მენეჯერმა ალან პერდიუმ თქვა: „სამარცხვინო დღე იყო. ვიცი, რომ ამ ორი კლუბის ფანებს განსაკუთრებით არ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ჩხუბი მაინც არ შეიძლებოდა".

ლიგის თასზე კი 16 საუკეთესო შემორჩა:

**ჩელსი — ნიუკასლი**
**ბარნლი — ტოტენჰემი**
**ნოტინგემი — ფულემი**
**ლივერპული — მიდლსბრო**
**რესტფორდი — საუთჰემპტონი**
**მანჩესტერი — კრ. პალასი**
**არსენალი — ევერტონი**
**კარდიფი — პორტსმუტი**

*თამაშები 9-10 ნოემბერს გაიმართება*



# უფხო ფახი დაითხოვეს

## ბორუსია მოყვარულს ანდეს

**მიონხენგლადბახის** „ბორუსია" მიჯრით ორჯერ დამარცხდა და კლუბის პატრონმა მწვრთნელი ჰოლგერ ფახი გაათავისუფლა. მის ადგილს დროებით მოყვარულ გლადბახელთა თავკაცი ჰორსტ კოეპელი დაიკავებს. გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი და უეფას თასის ორგზის (1975, 1979) მფლობელი ამჟამად ცხრილში ბოლოდან მესამე ადგილზეა. „ბორუსია" გერმანიის თასის პირველი ეტაპიდანაც გავარდა, სადაც მიუნხენის „ბაიერნის" მოყვარულებთან წააგო.

| 17:00 | 615 | ჰერფოლგე-ესბიერგი | 3.7 | 3.3 | 1.9 | 1.74 | 1.25 | 1.2 |
| 17:00 | 616 | ოლბორგი-რანდერსი | 1.4 | 4.5 | 5.8 | 1.06 | 1.12 | 2.53 |
| 17:00 | 617 | ვიბორგი-ოდენსე | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 19:30 | 618 | სილკებორგი-ბრონდბიუ | 4.7 | 3.5 | 1.65 | 2.0 | 1.22 | 1.12 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 627 | ოდ გრენლანდი-ჰამარბი | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 20:00 | 628 | ვალერენგა-სტაბეკი | 1.6 | 3.6 | 4.8 | 1.1 | 1.2 | 2.5 |
| 20:00 | 629 | მოლდე-ბოდიო გლიმტი | 2.2 | 3.0 | 3.1 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 630 | როზენბორგი-ლინი | 1.3 | 4.7 | 7.5 | 1.01 | 1.1 | 2.88 |
| 20:00 | 631 | ლილესტრომი-ბრანი | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 20:00 | 632 | ვიკინგი-ფრედრიკსტადი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 633 | ტრომსო-სოგნდალი | 1.5 | 3.8 | 5.6 | 1.07 | 1.18 | 2.26 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 654 | უოტერფორდი-შემროკი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 22:45 | 655 | დროგედა-ბოჰემიანსი | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 22:45 | 656 | შელბურნი-კორკი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 22:45 | 657 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 653 | დერი-დუბლინი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 9:00 | 658 | კაშიმა-იოკოჰამა | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 10:00 | 659 | ტოკიო-კობე | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 10:00 | 660 | ნიიგატა-კაშივა | 1.75 | 3.4 | 3.8 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 10:00 | 661 | შიმიძუ-ნაგოია | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 11:00 | 662 | სერეძო-ურავა | 3.1 | 3.0 | 2.0 | 1.57 | 1.21 | 1.23 |
| 14:00 | 663 | ვერდი-ოიტა | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 9:00 | 664 | ჰიროშიმა-ტოკიო | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 10:00 | 665 | იჩიჰარა-გამბა | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 667 | ვაშინგტონი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 23:45 | 668 | კანზასი-სან ხოზე | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 23:45 | 669 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1.95 | 3.1 | 3.5 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 670 | კოლამბუსი-ნიუ ინგლენდი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 717 | კოკიმბო-პალესტინო | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:45 | 719 | უონდერერსი-უნ.ჩილე | 3.2 | 3.2 | 2.0 | 1.6 | 1.23 | 1.23 |
| 23:45 | 718 | რეინჯერსი-სან ფელიპე | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 1007 | პოპრადი-ნიტრა | 1.7 | 4.2 | 3.0 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 19:00 | 1008 | სკალიცა-ზვოლენი | 2.9 | 4.2 | 1.8 | 1.71 | 1.11 | 1.25 |
| 19:00 | 1009 | სლოვანი-მიკულაში | 1.3 | 4.5 | 5.3 | 1.0 | 1.04 | 2.43 |
| 19:00 | 1010 | ტრენჩინი-დუბნიცა | 1.1 | 6.0 | 9.0 | 1.0 | 1.0 | 3.59 |
| 19:00 | 1011 | კოშიცე-ჟილინა | 1.4 | 4.2 | 5.0 | 1.04 | 1.09 | 2.28 |
| | | **ჰოკეი რუსეთი** | | | | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:00 | 1057 | აკ-სპარტაკი | 1.5 | 5.4 | 3.2 | 1.17 | 1.02 | 2.0 |
| 14:00 | 1058 | სევერსტალი-ლოკომოტივი | 1.8 | 5.0 | 2.7 | 1.32 | 1.08 | 1.75 |
| 14:00 | 1059 | მოლოტი-სიბირი | 2.1 | 4.6 | 2.3 | 1.44 | 1.09 | 1.53 |
| 14:00 | 1060 | მაგნიტოგორსკი-დინამო | 2.1 | 4.6 | 2.3 | 1.44 | 1.09 | 1.53 |
| 14:00 | 1061 | ავანგარდი-ლადა | 1.9 | 4.8 | 2.6 | 1.36 | 1.09 | 1.68 |
| 14:00 | 1062 | ცსკა-ნოვოკუზნეცკი | 1.6 | 5.0 | 3.0 | 1.21 | 1.04 | 1.87 |
| 14:00 | 1063 | ხიმიკი-ს.იულაევი | 1.8 | 5.0 | 2.7 | 1.32 | 1.08 | 1.75 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |
| 5002 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,3 | 3,6 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,57 |
| 5003 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5004 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5005 | ფულემი-ტოტენჰემი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5006 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 5,0 | 2,1 | 2,15 | 1,47 | 1,5 | 1,06 |
| 5007 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 6,0 | 2,4 | 1,75 | 1,71 | 1,35 | 1,01 |
| 5008 | ბლექბერნი-ლივერპული | 4,4 | 2,05 | 2,35 | 1,39 | 1,53 | 1,09 |
| 5009 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5010 | სიტი-ნორვიჩი | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5059 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 5060 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2.45 | 3.0 | 2.8 | 1.34 | 1.3 | 1.44 |
| 5061 | ჰანოვერი-ბოხუმი | 1.9 | 3.3 | 3.75 | 1.2 | 1.26 | 1.75 |
| 5062 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 4.65 | 3.4 | 1.7 | 1.96 | 1.24 | 1.13 |
| 5063 | შალკე-შტუტგარდი | 2.2 | 3.1 | 3.15 | 1.28 | 1.29 | 1.56 |
| 5064 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.7 | 3.3 | 4.9 | 1.12 | 1.26 | 1.97 |
| 5065 | ვოლფსბურგი-მაინცი | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 5066 | ჰანზა-ნიურნბერგი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 5067 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 2.1 | 3.3 | 3.15 | 1.28 | 1.25 | 1.61 |
| 5078 | ფიორენტინა-ლეჩე | 2.3 | 3.0 | 3.05 | 1.3 | 1.31 | 1.51 |
| 5079 | ინტერი-ლაციო | 1.5 | 3.6 | 6.7 | 1.05 | 1.22 | 2.34 |
| 5080 | იუვენტუსი-კიევო | 1.35 | 4.0 | 9.3 | 1.0 | 1.17 | 2.79 |
| 5081 | ლივორნო-ბრეშა | 2.25 | 3.0 | 3.15 | 1.28 | 1.31 | 1.58 |
| 5082 | მესინა-რეჯინა | 2.0 | 2.9 | 3.95 | 1.18 | 1.32 | 1.67 |
| 5083 | პარმა-ატალანტა | 1.7 | 3.2 | 5.1 | 1.11 | 1.27 | 1.96 |
| 5084 | რომა-კალიარი | 1.6 | 3.3 | 5.9 | 1.07 | 1.25 | 2.11 |
| 5085 | სამპდორია-მილანი | 4.6 | 3.2 | 1.8 | 1.88 | 1.29 | 1.15 |
| 5086 | სიენა-ბოლონია | 2.3 | 2.9 | 3.15 | 1.28 | 1.32 | 1.5 |
| 5087 | უდინეზე-პალერმო | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 5088 | ბილბაო-ბარსელონა | 3.8 | 2.1 | 2.4 | 1.35 | 1.47 | 1.12 |
| 5089 | ბეტისი-მალაგა | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5090 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5091 | დეპორტივო-ალბასეტე | 1.8 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.38 | 1.66 |
| 5092 | მალიორკა-რასინგი | 2.5 | 2.0 | 4.0 | 1.11 | 1.53 | 1.33 |
| 5093 | ნუმანსია-სოსიედადი | 2.7 | 2.05 | 3.4 | 1.16 | 1.5 | 1.27 |
| 5094 | ოსასუნა-ლევანტე | 2.3 | 2.2 | 3.7 | 1.12 | 1.41 | 1.37 |
| 5095 | რეალი-ხეტაფე | 1.4 | 3.0 | 11.0 | 1.0 | 1.24 | 2.35 |
| 5096 | ვალენსია-ატლეტიკო | 2.1 | 2.1 | 4.8 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 5097 | სარაგოსა-სევილია | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 1,55 | 2,5 |
| 5402 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,15 | 4,4 |
| 5403 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1,85 | 1,95 |
| 5404 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 5405 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,85 | 1,95 |
| 5406 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 5407 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3,0 | 1,4 |
| 5408 | ბლექბერნი-ლივერპული | 2,2 | 1,7 |
| 5409 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 5410 | სიტი-ნორვიჩი | 1,5 | 2,6 |
| 5459 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1.8 | 2.0 |
| 5460 | ფრაიბურგი-ჰერტა | 1.9 | 1.9 |
| 5461 | ჰანოვერი-ბოხუმი | 1.75 | 2.1 |
| 5462 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 2.4 | 1.6 |
| 5463 | შალკე-შტუტგარდი | 1.8 | 2.0 |
| 5464 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.6 | 2.4 |
| 5465 | ვოლფსბურგი-მაინცი | 1.6 | 2.4 |
| 5466 | ჰანზა-ნიურნბერგი | 1.75 | 2.1 |
| 5467 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 1.75 | 2.1 |
| 5478 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.8 | 2.0 |
| 5479 | ინტერი-ლაციო | 1.6 | 2.4 |
| 5480 | იუვენტუსი-კიევო | 1.3 | 3.0 |
| 5481 | ლივორნო-ბრეშა | 1.8 | 2.0 |
| 5482 | მესინა-რეჯინა | 1.7 | 2.2 |
| 5483 | პარმა-ატალანტა | 1.65 | 2.3 |
| 5484 | რომა-კალიარი | 1.55 | 2.5 |
| 5485 | სამპდორია-მილანი | 2.4 | 1.6 |
| 5486 | სიენა-ბოლონია | 1.8 | 2.0 |
| 5487 | უდინეზე-პალერმო | 1.7 | 2.2 |
| 5488 | ბილბაო-ბარსელონა | 2.0 | 1.7 |
| 5489 | ბეტისი-მალაგა | 1.7 | 2.0 |
| 5490 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.7 | 2.0 |
| 5491 | დეპორტივო-ალბასეტე | 1.8 | 1.9 |
| 5492 | მალიორკა-რასინგი | 1.7 | 2.0 |
| 5493 | ნუმანსია-სოსიედადი | 1.7 | 2.0 |
| 5494 | ოსასუნა-ლევანტე | 1.7 | 2.0 |
| 5495 | რეალი-ხეტაფე | 2.25 | 1.55 |
| 5496 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.85 | 1.85 |
| 5497 | სარაგოსა-სევილია | 1.7 | 2.0 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10.0 | 7.0 |
| 5102 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,4 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 20,0 | 25,0 | 20.0 | 20.0 |
| 5103 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 5,0 |
| 5104 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5105 | ფულემი-ტოტენჰემი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10.0 | 4.0 |
| 5106 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10.0 | 2.4 |
| 5107 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 11,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10.0 | 2.0 |
| 5108 | ბლექბერნი-ლივერპული | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2.8 |
| 5109 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10.0 | 4.0 |
| 5110 | სიტი-ნორვიჩი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8.0 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5159 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 5160 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 5161 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 5162 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 5163 | შალკე-შტუტგარდი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 5164 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5165 | ვოლფსბურგი-მაინცი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 5166 | ჰანზა-ნიურნბერგი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5167 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.1 | 4.4 | 5.8 | 20.0 | 10.0 | 4.9 |
| 5178 | ფიორენტინა-ლეჩე | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 5179 | ინტერი-ლაციო | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 9.0 |
| 5180 | იუვენტუსი-კიევო | 1.6 | 17.0 | 40.0 | 3.5 | 5.3 | 15.0 | 20.0 | 15.0 | 14.0 |
| 5181 | ლივორნო-ბრეშა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 5182 | მესინა-რეჯინა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5183 | პარმა-ატალანტა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.8 |
| 5184 | რომა-კალიარი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 5185 | სამპდორია-მილანი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 2.0 | 10.0 | 2.7 |
| 5186 | სიენა-ბოლონია | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 5187 | უდინეზე-პალერმო | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 5188 | ბილბაო-ბარსელონა | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 5189 | ბეტისი-მალაგა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5190 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5191 | დეპორტივო-ალბასეტე | 2.1 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 5192 | მალიორკა-რასინგი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 5193 | ნუმანსია-სოსიედადი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 5194 | ოსასუნა-ლევანტე | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 5195 | რეალი-ხეტაფე | 1.8 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 5196 | ვალენსია-ატლეტიკო | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 5197 | სარაგოსა-სევილია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.2 | 20.0 | 10.0 | 4.4 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 1,75 | 1,85 |
| 5202 | არსენალი-საუთჰემპტონი | 2,1 | 1,55 |
| 5203 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5204 | ევერტონი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5205 | ფულემი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5206 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 1,75 | 1,85 |
| 5208 | ბლექბერნი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5209 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,85 | 1,75 |
| 5210 | სიტი-ნორვიჩი | 1,8 | 1,8 |
| 5259 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.1 | 1.65 |
| 5260 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2.1 | 1.65 |
| 5261 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2.1 | 1.65 |
| 5262 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 1.9 | 1.8 |
| 5263 | შალკე-შტუტგარდი | 1.85 | 1.85 |
| 5264 | ვერდერი-ჰამბურგი | 2.1 | 1.65 |
| 5265 | ვოლფსბურგი-მაინცი | 2.2 | 1.6 |
| 5266 | ჰანზა-ნიურნბერგი | 2.0 | 1.7 |
| 5267 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 2.0 | 1.7 |
| 5278 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.75 | 1.95 |
| 5279 | ინტერი-ლაციო | 2.0 | 1.7 |
| 5280 | იუვენტუსი-კიევო | 1.8 | 1.9 |
| 5281 | ლივორნო-ბრეშა | 1.7 | 2.0 |
| 5282 | მესინა-რეჯინა | 1.7 | 2.0 |
| 5283 | პარმა-ატალანტა | 1.85 | 1.85 |
| 5284 | რომა-კალიარი | 1.95 | 1.75 |
| 5285 | სამპდორია-მილანი | 1.75 | 1.95 |
| 5286 | სიენა-ბოლონია | 1.7 | 2.0 |
| 5287 | უდინეზე-პალერმო | 1.75 | 1.95 |
| 5288 | ბილბაო-ბარსელონა | 2.0 | 1.7 |
| 5289 | ბეტისი-მალაგა | 1.7 | 2.0 |
| 5290 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.7 | 2.0 |
| 5291 | დეპორტივო-ალბასეტე | 1.8 | 1.9 |
| 5292 | მალიორკა-რასინგი | 1.7 | 2.0 |
| 5293 | ნუმანსია-სოსიედადი | 1.7 | 2.0 |
| 5294 | ოსასუნა-ლევანტე | 1.7 | 2.0 |
| 5295 | რეალი-ხეტაფე | 2.25 | 1.55 |
| 5296 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.85 | 1.85 |
| 5297 | სარაგოსა-სევილია | 1.7 | 2.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | არსენალი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 5504 | ევერტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 5505 | ფულემი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 5506 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 5507 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 5508 | ბლექბერნი-ლივერპული | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 5509 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2.8 | 2.0 |
| 5510 | სიტი-ნორვიჩი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 5559 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5560 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5561 | ჰანოვერი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5562 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5563 | შალკე-შტუტგარდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5564 | ვერდერი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5565 | ვოლფსბურგი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5666 | ჰანზა-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5567 | კაიზერსლაუტერნი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5578 | ფიორენტინა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5579 | ინტერი-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5580 | იუვენტუსი-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5581 | ლივორნო-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5582 | მესინა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5583 | პარმა-ატალანტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5584 | რომა-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5585 | სამპდორია-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5586 | სიენა-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5587 | უდინეზე-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5588 | ბილბაო-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5589 | ბეტისი-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5590 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5591 | დეპორტივო-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5592 | მალიორკა-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5593 | ნუმანსია-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5594 | ოსასუნა-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5595 | რეალი-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5596 | ვალენსია-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 5597 | სარაგოსა-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |

კრივი

# დღეს კრივის ჯერია
## აირჩევს ყრილობა არჩევნებს?


გიორგი კანდელაკი


რამაზ ფალიანი

**დასრულდა** ათენის ოლიმპიადა და სპორტის ამა თუ იმ სახეობათა ფედერაციების ყრილობებიც მოახლოვდა. გუშინწინ ძიუდოს ფედერაციის ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. დღეს კრივის ფედერაციის ყრილობაა.

შესაძლოა, დღეს საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ახალი კაცი ვიხილოთ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, მოქმედმა თავკაცმა გიორგი კანდელაკმა არჩევნების გარეშე შეინარჩუნოს თანამდებობა.

კანდელაკს ორი მოცილე ჰყავს: ცნობილი პროფესიონალი მოკრივე რამაზ ფალიანი და გიორგი ჩიხლაძე. 14 საათზე ვერის ბაღის დარბაზთან მიმდებარე ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართება ფედერაციის ყრილობა, სადაც ისიც გადაწყდება, დღესვე ჩატარდება თუ არა პრეზიდენტის არჩევნები.

# იქნებ რამე გვეშველოს
## ოლიმპიზმი კრივში ჩაერევა

**როგორც იქნა,** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კრივში გამეფებულ განუკითხაობაზე გაახილა თვალი. მგონი, ახალს ვერაფერს ვიტყვით: მსაჯები ყოველგვარ ზღვარს გადადიან, როგორც მოესურვებათ, ისე ანაწილებენ ქულებს მოყვარულ მოკრივეთა შორის და ვინ მოთვლის, რამდენი სპორტსმენი დაუჩაგრავთ. რაღა შორს მივდივართ, აგერ, ამხელა ფორუმზე, ათენის ოლიმპიადაზე ქართველი ნიკა იზორია ტომარასავით ურტყამდა აზერბაიჯანელ ასლანოვს, მსაჯები კი ქულებს პირიქით, მეტოქეს უწერდნენ. იზორიას მაგალითი იმიტომაც გავიხსენე, რომ კრივის საერთაშორისო ფედერაცია განსაკუთრებით პატარა, დაუცველ ქვეყნებს „ემტერება" და ერთხანს საქართველოს ფედერაციამ უარი თქვა სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობაზე, სულერთია, მაინც წაგვაგებინებენო. ოლიმპიადაზე ხდება ასეთი ამბები და დაბალი კლასის ტურნირებზე ხომ წარმოგიდგენიათ...

„უნდა გამოვიმუშავოთ ქულების დარიცხვის მაქსიმალურად სამართლიანი სისტემა, რომელიც უფრო ძლიერ მოკრივეს მისცემს მოგების გარანტიას. არსად არ მოქმედებს მსაჯების ფაქტორი ისე ძალიან, როგორც კრივში" — ამბობს სოკ-ის აღმასკომის წევრი გერჰარდ ჰაიბერგი. მისივე თქმით, მსაჯები მკაცრად გაკონტროლდებიან და ტენდენციურობისთვის უმალ დისკვალიფიკაციას მიიღებენ, თანაც ისეთს, იმ ერთი ბრძოლის „გაფუჭებად" ნაღდად რომ არ ეღირება. და კიდევ, თუ წაგებული მოკრივე პროტესტს შეიტანს, კომპიუტერი ჩაერევა საქმეში და ეგებ სულაც მოგება მიაკუთვნონ ან ბრძოლა ხელახლა შედგეს. სათქმელია, რომ ადრე ამგვარი რამ არ ხდებოდა...

სხვათა შორის, კრივის საერთაშორისო ფედერაციას მაქინაციებში ამხელენ რუსებიც. თურმე ტელეარხ „სპორტს" პირდაპირ ეთერში დაუჭერია კადრი, რომელშიც მსაჯების კენჭისყრა იმართებოდა — არასასურველი ბურთულის ამოღების შემთხვევაში ისევ კალათაში აბრუნებდნენ და ასე გრძელდებოდა, სანამ სასურველი მსაჯის გვარიანი ბურთულა არ ამოვიდოდა...

**ილია ნანობაშვილი**

ხელბურთი

საქართველოს XV ჩემპიონატი
პირველი წრე. „ა" ქვეჯგუფი
თელავი. 28 ოქტომბერი
ქარიშხალა 47:34 გორი
ხ/კ თბილისი 26:23 სტუ-შევარდენი

# თბილისობა თელავში
## ათწლიან ისტორიას კახური წერტილი დაესვა

**გია ახალაძე** თელავიდან


ვეტერანი ელიზბარ არსენაშვილი „თბილისს" „შევარდენის" ძლევაში დაეხმარა

გუშინ თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტ-თამაშების სკოლის დარბაზში ტურის ცენტრალური მატჩი შედგა. ერთმანეთს საქართველოს 14-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი" და ხელბურთის კლუბი „თბილისი" დაუპირისპირდნენ. საცქერად ჩინებული თამაში გამოვიდა, ეფექტური კომბინაციებით და სწრაფი გარღვევებით. ყველაფერი კეთილად, თუმც სენსაციურად კი დასრულდა, მაგრამ მატჩი კინაღამ დაწყებამდე ჩაიშალა. „თბილისის" მწვრთნელი ერთ-ერთი მსაჯის კანდიდატურის წინააღმდეგი იყო. თხუთმეტწუთიანი პროტესტის მიუხედავად აცილება არ შედგა და შეხვედრაც დაიწყო.

ჩემპიონებმა აქტიურად და ზუსტი შეტევებით დაიწყეს და მეხუთე წუთზე სამი ბურთით გაიჭრნენ წინ — 5:2. „თბილისში" ჩინებულად ითამაშეს ვეტერანებმა: საბერძნეთიდან დაბრუნებულმა ლევან გელაშვილმა და 31 წლის ელიზბარ არსენაშვილმა, რომელიც წინა ჩემპიონატში კი გამოეთხოვა ხელბურთს, მაგრამ გუნდის ინტერესებისთვის ისევ გავიდა მოედანზე. არსენაშვილი დაცვაშიც საიმედოდ მოქმედებდა და სამი გოლიც გაიტანა, ხოლო გელაშვილის ანგარიშზე ათი ზუსტი სროლაა. სწორედ მისი ყუმბარისებური, მაღალ ნახტომში ტყორცნების შემდეგ მე-12 წუთზე ანგარიში 7:7 გახდა. შუა ტაიმში „თბილისი" დაწინაურდა კიდეც, ხოლო შესვენების წინ სამბურთიანი უპირატესობაც მოიპოვა — 15:12.

დაძაბული ბრძოლა მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. ტექნიკოსები ძალიანაც ეცადნენ, მაგრამ გუშინ „თბილისის" დღე იყო. ბრწყინვალედ ითამაშა მათი კარის დარაჯმა არჩილ გარიშვილმაც, რომელმაც პირისპირ გასულ მეტოქეთა არაერთი ნატყორცნიც მოიგერია და სამი შვიდმეტრიანიც.

ამრიგად, „სტუ-შევარდენი" ეროვნულ სარბიელზე ბოლო ათ წელში პირველად დამარცხდა.

თბილისის „ქარიშხალასა" და „გორის" შეხვედრაში გამარჯვება პირველს დარჩა, თუმც გორელები მეტოქეს კარგა ხანს ტოლსწორად ებრძოდნენ. გამარჯვებულთაგან 12 გოლი ირაკლი ქირიამ გაიტანა, მიხეილ საჯაიამ — 10. გორელმა გოჩა მშვილდაძემ კი 20-ჯერ გაიტანა და 40 გოლით ბომბარდირთა სიას ლიდერობს.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 0 | 0 | 84:70 | 6 |
| ქარიშხალა | 1 | 0 | 1 | 68:61 | 2 |
| თელავი | 1 | 0 | 1 | 57:51 | 2 |
| სტუ-შევარდენი | 1 | 0 | 1 | 53:48 | 2 |
| გორი | 0 | 0 | 3 | 81:113 | 0 |

ჭადრაკი

calvià 36 2004 MALLORCA 14-31 Octubre 2004

საჭადრაკო ოლიმპიადა

ვაჟები. XIII ტური

**საქართველო 2:2 უკრაინა**

ზურაბ აზმაიფარაშვილი — რუსლან პონომარიოვი 0,5:0,5
გიორგი ყაჭეიშვილი — ანდრეი ვოლოკიტინი 0,5:0,5
ზვიად იზორია — ალექსანდრ მოისეენკო 0,5:0,5
თამაზ გელაშვილი — პაველ ელჯანოვი 0,5:0,5

ქალები. XIII ტური

**საქართველო 1:2 რუსეთი**

მაია ჩიბურდანიძე — ალექსანდრა კოსტენიუკი 0,5:0,5
ნანა ძაგნიძე — ეკატერინა კოვალევსკაია 0,5:0,5
ლელა ჯავახიშვილი — ნადეჟდა კოსინცევა 0:1

# ჩინელებმა ქართველებთან მარცხი იოლად გადაიტანეს

**საჭადრაკო** ოლიმპიადის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა ჩასათამაშებელი, თუმც ჩემპიონებზე შეიძლება აქედანვე ვთქვათ. თუ ვაჟებში უკრაინის ვერგაჩემპიონების უმცირესი შანსი მაინც რჩება, ქალებში ბოლოსწინა ტურმა საბოლოო წერტილი დასვა. ჩინელმა ქალბატონებმა დღეს სამივე დაფაზეც რომ წააგონ, მაინც ველარავინ დაეწევათ. ჩვენებურთაგან გუშინწინ ძლეულმა აზიელებმა ინდოელებს 2:1 აჯობეს და საერთო მარაგი 29 ქულამდე გაზარდეს, რითაც ოლიმპიური გვირგვინი შეინარჩუნეს.

მთავარი ბრძოლები მეორე-მესამე ადგილებისთვის გაიმართება და კონკურენტთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი საქართველოც იქნება. გუშინ ჩვენი სამეული ზედ კუდზე მჯდომ რუსეთს დაუპირისპირდა და 1:2 მარცხის გამო ადგილი გაუცვალა. ჩვენზე ნახევარი ქულით მეტის აღება შეძლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, ასევე საპრიზო ადგილზე მეოცნებე საფრანგეთთან სამმაგი ყაიმით და შედეგად 25,5-25,5 ქულით ამჯერად მეორე-მესამე ადგილს აშშ და რუსეთი იყოფს, საქართველოს ანგარიშზე 25 ქულაა, საფრანგეთისაზე — 24,5, ხოლო უნგრეთისაზე — 24.

ისევ რუსებთან გუშინდელ შეხვედრას მივუბრუნდეთ. მაია ჩიბურდანიძე და ნანა ძაგნიძე ალექსანდრა კოსტენიუკსა და ეკატერინა კოვალევსკაიას დაუზავდნენ. ლელა ჯავახიშვილი კი ნადეჟდა კოსინცევამ დაგვიმარცხა.

კაცებმა თითქმის ჩემპიონ უკრაინასთან მშვიდობით გაყრა შეძლეს, რითაც მანამდელ მარაგს ორი ქულა წაამატეს, მაგრამ ეს ცხრილში წინ წასაწევად არ ეყოთ. ის კი არა, ერთი პოზიციით ჩამოქვეითდნენ და ახლა 31 ქულით ბულგარეთთან მერვე-მეცხრე ადგილებს იყოფენ. საპრიზოზე ოცნება ცოტა ძნელია, ხუთეულამდე კი ჩვენებურებს ოდენ ნახევარი ქულა აშორებთ. ზუსტად ამდენით არიან წინ კუბა, აშშ და ინდოეთი, რომლებიც მე-5-7 ადგილებს ინაწილებენ. ლიდერ უკრაინას 36,5 ქულა აქვს, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ რუსეთს 33,5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტეფანიამ მუხლი გამშალა

## ფაჩულიას ხუთეულამდე ხუთი წუთი აშორებს

**სასიამოვნო** ამბავი ოკეანგაღმიდან: მრავალთვიანი უქმობის შემდეგ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია მოედანს დაუბრუნდა და „ტორონტო რეპტორზის" წინააღმდეგ საგამოფენო მატჩში მშვენივრადაც ითამაშა. გასახარი ამბავია მილუოკიდანაც — ზაზა ფაჩულიამ მორიგ საგამოფენო მატჩშიც დაამტკიცა, რომ „ბაქსის" ხუთეულში თამაშის ღირსია.

წინა სეზონის პლეი ოფამდე სტეფანიას ქრონიკულად მტკივანი მუხლი გაუმიზეზდა და ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. მას შემდეგ არაერთხელ უნდა დაბრუნებოდა მოედანს, მაგრამ ჭირვეული მუხლის რეაბილიტაცია გაუგრძელდა და გუშინწინდა შეძლო თამაში.

ალბათ ისევ მუხლის დატვირთვას მოერიდა და „პორტლენდის" მწვრთნელმა მორის ჩიკსმა ჩვენებური მხოლოდ 15 წუთით ათამაშა. სტეფანიასთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, თავისი ხელი დაემჩნია თამაშისთვის და ცოტაც რომ გამართლებოდა, ორმაგ დუბლს მიითვლიდა. ვოვას მონაგარია 11 ქულა და 7 მოხსნა. ამდენი ხნის უქმობის შემდეგ მოედანზე ასე შედეგიანად დაბრუნება იმაზე მიუთითებს, რომ სტეფანიამ ფორმა აღიდგინა და თუ მომავალშიც ასე გააგრძელა, მთელი თამაში სკამზე ჯდომა ნამდვილად არ მოუწევს.

თითქმის ხუთეულშია ზაზა ფაჩულია. „მილუოკის" თავკაც ტერი პორტერს საბოლოოდ ჯერ არ უთქვამს, ფაჩულია ძირითადი ცენტრი იქნება, მაგრამ „მინესოტასთან" მატჩამდე შანსებს თანაბრად უნაწილებდა ქართველსა და „ბაქსის" კიდევ ერთ ახმახს დან გაძურიჩს. ჰოდა, „მინესოტასთან" კარგი თამაშით ფაჩულიამ სასწორი თავის მხარეს გადახარა.

არადა, ხუთეულში მაინც გაძურიჩმა დაიწყო, თუმც საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ფაჩულიამ მეტი ითამაშა. ეს, ცხადია, ქართველი ცენტრის ღირსეულმა თამაშმა განაპირობა, რაკი შეცვლაზე შესული ფაჩულია პორტერმა კარგა ხნით დატოვა მოედანზე და დაძაბული მატჩის ბოლო მეოთხედიც მთლიანად ანდო.

ზაზამაც გაამართლა — გადამწყვეტ თორმეტწუთეულში ოთხი ბურთი მოხსნა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ჩაჭრა გააზერხა და თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე მოხდენილი ნახევარბრუნით ანგარიში 74:74 გაათანაბრა. ფაჩულია არც ამას დასჯერდა და მინესოტელთა ერთ-ერთი ბოლო შეტევისას ფარსაცდენილი ბურთი მოხსნა, რითაც „მგლებს" საბოლოოდ გადაუწურა იმედი. დრამატულ ბრძოლაში ჩათამაშებულ მატჩში „მილუოკიმ" 76:75 მოიგო. ზაზა მოედნიდან 11 ქულითა და 6 მოხსნით გავიდა, რის მოსაგროვებლადაც 29 წუთი დასჭირდა.

თავისთავად საინტერესოა, რა გააზერხა ფაჩულიას მთავარმა კონკურენტმა დან გაძურიჩმა. ის ზაზაზე 4 წუთით ნაკლები ათამაშეს და გაძურიჩმა ოდენ ორი ქულის მითვლა მოახერხა სროლათა მეტად არასახარბიელო პროცენტული მაჩვენებლით — 6-დან ერთი ჩააგდო. სამაგიეროდ, გაძურიჩმა ფარზე იყოჩაღა და რვა ბურთი მოხსნა.

ზაზამ პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა და სეზონის დაწყებამდე დარჩენილ ერთ საგამოფენო მატჩშიც თუ ასეთი წარმატებით ითამაშებს, პორტერი სახუთეულო არჩევანს ალბათ ფაჩულიაზე გააკეთებს.

**კოტე ყორშია**







გუშინწინ ვლადიმერ სტეფანიამაც და ზაზა ფაჩულიამაც (№27) 11-11 ქულა მიითვალეს



# აშენდა ავიამშენი ბერძენიშვილი მოსეშვილს დაუბრუნდა

**თითქმის** გადაწყვეტილი ამბავია: დავით ბერძენიშვილი „თბილავიამშენში" ითამაშებს. ასე რომ, საქართველოს ჩემპიონატს ნელ-ნელა უბრუნდება ის ლაზათი, რაც წამყვანი მოთამაშეების საზღვარგარეთ გადინებით დაკარგა.

ბერძენიშვილთან ერთად საქართველოში ითამაშებენ ირაკლი ჯაფარიძე და სავარაუდოდ არჩილ ჟღენტიც. ეს მოთამაშეები გუშინწინ დაბრუნდნენ ირანიდან, სადაც ისეთი გუნდი ვერ მონახავს, რომელიც მათ პირობებს დააკმაყოფილებდა.

ბერძენიშვილი ახლოს იყო ირანულ კლუბში ჩარიცხვასთან, მაგრამ იქაურებმა, უნდა მოგვიცადოო და დავითიც თბილისში გამობრუნდა. „თეირანიდან ცხრა საათის სავალზე მყოფი შარიაკორდის გუნდი მეპატიჟებოდა, რომელთანაც თითქმის ყველა პირობა შევათანხმე — გვითხრა დავით ბერძენიშვილმა — კონტრაქტი მზად იყო, მაგრამ ირანელებმა მითხრეს, ერთ 220-სანტიმეტრიან უცხოელს ველოდებით და თუ ის ვერ დავითანხმეთ, იმ შემთხვევაში აგიყვანთო. სამი-ოთხი დღე ველოდე და ჩემი კონკურენტი რომ აღარ გამოჩნდა, ჟღენტს და ჯაფარიძეს თბილისში გამოვყევი."

თუ იმ გოლიათთან ვერ შეთანხმდნენ, შარიაკორდელები ბერძენიშვილს შეეხმიანებიან, მაგრამ, როგორც თავად ქართველი ცენტრი ამბობს, ირანში დაბრუნებას აღარ აპირებს, რაკი თითქმის შეთანხმებულია „ავიამშენთან", რომელიც სპარსულ გუნდზე არცთუ ცუდ პირობებს სთავაზობს.

„ჯერ ოფიციალურად არ გადაწყვეტილა, მაგრამ ალბათ მაინც „ავიამშენში" ვითამაშებ. ახლა კონტრაქტის დეტალებს ვათანხმებთ და ალბათ დღე-დღეზე ჩავირიცხები ლევან მოსეშვილის გუნდში."

ბერძენიშვილს ჯერაც აქვს ევროპაში წასვლის შანსი, მაგრამ, როგორც ამბობს, ცნობილი იტალიელი მენეჯერის ლუჩანო კაპიტიანის სააგენტოში მას ახალი წლისთვის ჰპირდებიან რომელიმე გუნდში მოწყობას. ახალ წლამდე ჯერაც საკმაო დროა და მიჯობს, „ავიამშენში" ვითამაშო, რეგულარული შემოსავალი მექნება და შინაც ვიქნებიო — დასძენს „ბერძენა".

ირაკლი ჯაფარიძე კი ალბათ „სტუ-ჯეოსელს" დაუბრუნდება.

**ირაკლი პერტაია**



# სპონსორი კისერზე არ ჩამოგვეკიდება

## იტალიელებს ნაადრევად დაუზამთრდათ

**გეხსომებათ,** ათენის ოლიმპიადამდე რა ამბები იყო ატეხილი. ბერძნებმა ყველაფერი ბოლოსთვის რომ მოიტოვეს და სამუშაოების დასრულება ბოლო დღეებშიღა მოასწრეს.

ახლა იტალიელებს სჭირთ იგივე — 2006 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები ტურინში უნდა გაიმართოს, მათ კი ჯერ დაფინანსების საკითხებიც არ აქვთ ბოლომდე მოგვარებული.

ტურინის მერმა სერჯო კასტელანიმ ორშაბათს განაცხადა, მომავალ თვეებში ტურინის ოლიმპიური კომიტეტის ფინანსურ საქმიანობას სააუდიტო ჯგუფი გადაამოწმებსო.

საქმე ის გახლავთ, რომ ცნობილი გახდა, თამაშების ორგანიზატორებს ბიუჯეტში 180 მილიონი ევროს ოდენობით აქვთ გარღვევა. ამას გარდა იტალიურმა მედიამ ისიც გაარკვია, რომ ნაცვლად 420 კომპანიისა, რომლებთანაც კომიტეტს მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა თამაშების დასპონსორებასთან დაკავშირებით, კომიტეტი ჯერჯერობით მხოლოდ 145-ს დაუკავშირდა და აქედან შეთანხმებას მხოლოდ 15-თან მიაღწია.

„დღეს ჩვენ სპონსორების ნაკლებობას განვიცდით" — არც დაუმალავს კომიტეტის წარმომადგენელ მარი ვილას.

ეს ყველაფერი უკვე გასცდა უბრალო საორგანიზაციო პრობლემების ჩარჩოებს და პოლიტიკაში გადაიზარდა. მემარჯვენეები მემარცხენეებს ადანაშაულებენ, ოლიმპიური თამაშების მონოპოლიზაცია უნდათო.

ქვეყნის პრემიერმინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ კულტურის მინისტრი მარიო პესკანტე იტალიის ოლიმპიური კომიტეტის მეთვალყურედ დანიშნა, რამაც კომიტეტის მემარცხენე პრეზიდენტი ვალენტინო კასტელანი ისე გააცეცხლა, გადადგომითაც კი დაიმუქრა.

ეს პოლიტიკა ისეთი რამეა, ჩვენი ძლივს გაგვირკვევია და იტალიურს ნუ გამოვეკიდებით. მთავარია, ოლიმპიადა ჩატარდეს ნორმალურად.

**ლადო წულუკიძე**



სილვიო ბერლუსკონი

# სერენა, ცუდის ჭამას მოეშვი

**სანკტ-პეტერბურგის ღია პირველობა**
ჭერქვეშა ხალიჩა.
საპრიზო 1 მილიონი $

**პირველი წრე**

**მარატ საფინი** (1, რუსეთი) — ალექსანდრ პეია (ავსტრია) 7:6 (7:5), 4:1

**მეორე წრე**

**სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — მარდი ფიში (3, აშშ) 6:7 (6:8), 6:4, 6:3; **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (5, რუსეთი) 6:1, 6:7 (4:7), 6:4; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:1), 4:6, 6:4

წინა კვირას მადრიდში ნამასტერსტიტულარმა მარატ საფინმა სანკ პეტერბურგში გადაინაცვლა და წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ჰიუსტონურ მასტერსთასზე მოსახვედრად საჭირო ქულებს ახლა იქ აგროვებს. პირველ წრეში მას უსახელო ავსტრიელ პეიასთან მოუხდა ბრძოლა და საწყის სეტში მაგრადაც გაუჭირდა. თუმცა მერე საფინმაც უმატა და პეიასაც კოჭის ტრავმა გაუმიზეზდა. მატჩიც სწორედ ამის გამო შეწყდა.

**DAVIDOFF SWISS INDOORS**
ბაზელი. ხალიჩა
საპრიზო 989 750 ევრო

**პირველი წრე**

**ტიმ ჰენმანი** (2, ბრიტანეთი) — ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) 6:3, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:3; **რაინერ შუტლერი** (6, გერმანია) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:3, 6:4; **ნიკოლას მასუ** (7, ჩილე) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:2; **ჟერომ ენელი** (საფრანგეთი) — ფერნანდო გონსალესი (8, ჩილე) 6:3, 6:4

ტიმ ჰენმანს ამ ტურნირამდე მაგნიუმის ნაკლებობა დაუდგინეს — ასე მალე რომ ილლები, ეგ სწორედ მაგის ბრალიაო. ჰოდა, ბრიტმაც საჩქაროდ აბების ყლაპვა დაიწყო და ფრანგ დიუპუასთან შეხლამდე ორგანიზმში იმდენი მაგნიუმი დაიგროვა, სულ თამაშ-თამაშ იმარჯვა. საფინისა არ იყოს, იგიც ჰიუსტონურ მასტერსთასზე მოსახვედრად იბრძვის და ამდენად მისთვის ყოველ მოგებას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს. ბაზელი კი ამ მხრივ მისთვის იღბლიანი ალაგია — აქ მას 1998 და 2001 წლებში უჩემპიონია კიდეც.

**სტოკჰოლმის ღია პირველობა**
ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 643 750 ევრო

**პირველი წრე**

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:2, 6:4

34 წლის არმენოამერიკელი — მარატ საფინის, ტიმ ჰენმანისა და დავიდ ნალბანდიანის დარად — ჰიუსტონური რვაკაცისათვის აქნევს ჩოგანს. საამისოდ საჭირო ქულების შოვნას ის შედარებით იოლ ტურნირზე, სტოკჰოლმში ცდილობს. პირველ წრეში მას მსოფლიო რეიტინგსიის 107-ე ადგილზე მდგომი კრისტოფ ფლიგენი შეხვდა და მის დასაფრენად ბებერ ფაკირს საათზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა. შვედთა სატახტოს აგასი ოჯახთან — მეუღლე შტეფი გრაფსა და ორ ბავშვთან ერთად სტუმრობს. ამათთან ერთად მოგზაურობა ძალიან ძნელია, მაგრამ შინ ჯდომას მაინც სჯობსო, ამბობდა ის იმ დღეს და, ჰაი, ჰაი, რომ არც გაემტყუნებოდა.

**GENERALI LADIES**
ლინცი. ჭერქვეშა მაგარსაფარი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ალინა ჟიდკოვა** (რუსეთი) — სერენა უილიამსი (3, აშშ) 7:6 (7:5), 6:2; **ნადია პეტროვა** (5, რუსეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 5:7, 6:3; **ელენა ბოვინა** (9, რუსეთი) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 6:1

ესეც ასე — სერენა უილიამსი ტურნირის სტარტიდანვე გააბუნძურეს. ასეთი რამ კი — ანუ მამა რიჩის უმცროსი გოგო რაგინდარა ტურნირზე პირველივე შეხვედრაში რომ დამარცხებულიყო — უკეთუ სტატისტიკა არ გვღალატობს, 2000 წლის აპრილის შემდეგ არ მომხდარა. ეგ ყველაფერი ცუდი საჭმლის ბრალიაო, იმართლებოდა მერე სერენა — შეუძლოდ თავი უკვე გუშინვე ვიგრძენი და დღესაც ფეხზე ძლივს ვდგევარო. მოკლედ, სერამ კიდევ ერთხელ ჩაიფლავა და წლის დამაგვირგვინებელ რვაქალა ტურნირზე — რაიც ასევე ჰიუსტონში იმართება — მოსახვედრი შანსები ძალიან შეიმცირა.



სერენა უილიამსი ლინციდან ნაადრევად გამოისტუმრეს

**ლევან ძელაურაძე**



# დაბრუნება ჰიმალაიზე

**ირწმუნებიან**, რომ როგორც წესი, მთამსვლელი ქალები, ეგრეთ წოდებული, ცივი ღამის თევის მერე ილუპებიანო. იმასაც ირწმუნებიან, რომ ერთადერთი, ვინც ასეთ ღამეს გაუძლო და გადარჩა, ბელარუსი ირინა ვიალენკოვა არისო.

ვიალენკოვას ცივი ღამის გადატანა 1995 წელს მოუხდა, როცა შორეულ ჰიმალაიზე აღმართულ ერთ-ერთი რვაათასიანი მწვერვალიდან, დჰაულაგირიდან (8165) ეშვებოდა. თუმცა იქიდან სალსალამათი მაინც ვერ ჩამოვიდა და იმ ასვლას ორივე ფეხის მოყინული ყველა თითი შეეწირა.

მსგავსი შემთხვევების გამო აბა, რომელ მთამსვლელს მიუტოვებია მთაში სიარული და ამ მხრივ გამონაკლისი არც ვიალენკოვა აღმოჩნდა. მან თავისივე პროექტის ფარგლებში — რომელსაც „დაბრუნება ჰიმალაიზე" უწოდა — კვლავ აიკრა გუდა-ნაბადი და ისევ ამ ბუმბერაზი მთებისკენ წავიდა, სადაც სხვა რვაათასიანი ჩო ოიუ (8201 მ) დალაშქრა.

ირინა ვიალენკოვა ამ მწვერვალზე ავსტრიელი ჰერბერტ ტიხის პირველასვლის იუბილეზე — 50 წლისთავზე ავიდა, რაც ამ ბელარუსი ქალის კოლექციაში მესამე რვაათასიანი მწვერვალი აღმოჩნდა.

და რაკი ახლა ჩო ოიუს დასდგომია საიუბილეო თარიღი, შეგახსენებთ, რომ მასზე ინგლისელთა 1952 წლის პირველასვლის ცდის მერე ავსტრიელთა ექსპედიციის წევრები იოხლერი და შერპი პაზანგ დავა-ლამა თავიანთ მეთაურთან, ჰერბერტ ტიხისთან ერთად 1954 წელს ავიდნენ.



ირინა ვიალენკოვა

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# ამბავ-ყინული ჰოკეის რაღა?

## ჩელიოსი ბობსლეის გაუტაცია



**რა ქნან** ნჰლ-ის ჰოკეისტებმა, უსაქმობამ შეაწუხა და დღითი დღე უფართოვდებათ ინტერესის სფერო. თითქოს ჰოკეის სახესხვაობები არ კმაროდაო, ყურადღება სპორტის სხვა სახეობებსაც მიაპყრეს. აგერ, ლიგის უხუცესი მოთამაშე, 42 წლის კრის ჩელიოსი ბობსლეის გაუტაცია და არც მეტი, არც ნაკლები, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე მონაწილეობას გეგმავს, თან ამერიკის კი არა, ისტორიული სამშობლოს, საბერძნეთის ოლიმპიური ნაკრების ჩამოყალიბებას აპირებს. ამ დღეებში ჩელიოსი ადირონდაკში აშშ-ს გუნდის ბაზას ეწვია და თავი გამოსცადა. ორადგილიანი ბობით სამჯერ ჩასრიალების შემდეგ კრისი ერთობ აღელვებული და დაღლილი ჩანდა. "დავიწვი, სულ გამოვიფიტე. ალბათ ეს უბრალოდ სტრესია და ფსიქოლოგიური მომენტი" — თქვა მან. თუმც ჰოკეისტს ფარხმალი არ დაუყრია და მომავალსაც ოპტიმისტურად უყურებს — „ძალიან დროულად დავიწყე. სეზონს პირი არ უჩანს, ამიტომ უნდა შევეცადო, საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებას მივაღწიო და ოლიმპიადაზე მოვხვდე. ვნახოთ, როგორ გამომივა. მთავარია, მთელი სულით და გულით მივუდგე საქმეს."

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ნჰლ გამოვიტიროთ. თუ ჩელიოსის დარი ხალხი ბობსლეის გადაჰყვა, ჰოკეის რაღა ეშველება?



# ამერიკაში აჰლ აყვავდა

**სანამ** ნჰლ-ში გაფიცვაა, ჩრდილოეთ ამერიკაში ყინულის სცენაზე აჰლ გამოვიდა. ცხადია, ეს ლიგა არსებულ სიცარიელეს სრულად ვერ შეავსებს, მაგრამ რას იზამ, აშშ და კანადა ამჟამად იმით უნდა დაკმაყოფილდნენ, რაც აქვთ. აჰლ-მ „უფროსი ძმის" კრიზისით გვარიანად იხეირა და ბევრი ცნობილი ჰოკეისტი შეიმატა. მართალია, ლიგა ჯერჯერობით ამ მხრივ ევროპას კონკურენციას ვერ უწევს, მაგრამ ამერიკელ-კანადელი ახალგაზრდები მაინც შინ დარჩენას ამჯობინებენ. 2001-03 წლების დრაფტების პირველ რაუნდში არჩეული 90 ჰოკეისტის ლამის ორი მესამედი სწორედ აჰლ-ში ირიცხება, ხოლო „იუტაში" („ფინიქსის" ფარმკლუბი) ნჰლ-ში ნაწრთობი 11 მოთამაშეა, ზოგიერთი უკვე სახელმოხვეჭილიც. მაგალითად, 2004 წლის „იანგ სტარზ გეიმის" მონაწილეთა თითქმის ნახევარი აჰლ-ში თამაშობს, მათ შორის ჯეი ბოუმისტერი (მსოფლიოს თასის და ოლიმპიადის გამარჯვებული), მარკ ანდრე ფლერი (2003 წლის დრაფტის №1), პატრის ბურჟენოვი (2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონი), ჯეისონ სპეცა, იონი პიტკანენი და ბევრი სხვა. აი, ამ უკანასკნელმა მშობლიურ ფინეთში წასვლას აჰლ ამჯობინა. ასე რომ, ამ მჭლე ლიგის მიმართ ინტერესი წლეულს საკმაოდ გაიზარდა. აჰლ-ს ჩემპიონატი 13 ოქტომბერს დაიწყო.

ამასობაში ევროპული დესანტის რიცხვმა 203-ს უწია. ბოლო ხანს ოკეანე კიდევ ორმა სახელოვანმა ჰოკეისტმა გადალახა — „ატლანტას" ლიდერი დანი ჰიტლი შვეიცარიულ „ბერნს" შეუერთდა, ხოლო „მონრეალის" წამყვანი მცველი პატრის ბრასბუა — იმავე ქვეყნის „კლოტერნის".

# წმინდა პეტრეს მოედანზე

წმინდა პეტრეს მოედანზე ყოველკვირეული გამოსვლები რომის პაპის, იოანე პავლე მეორეს ჩვეული განრიგია. ამ ოთხშაბათს მოედანზე შეკრებილთა შორის ინგლისის რაგბის ვარსკვლავები, ლორი დალალიო და მაიკ კეტიც იყვნენ, რომლებმაც ავტოგრაფებით დახუნძლული მსოფლიოს თასის დროინდელი მაისურა მიუძღვნეს პაპს, რომელმაც ეს ზორბა ჯეელები დალოცა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გლაზგოური კრივი

გლაზგოში ორგანიზაციის (ვბო) ქამრისთვის კრივი იგეგმება: მსუბუქი წონის სქოთ ჩემპიონს სკოთ ჰარისონს მოცილე ეთიოპიიდან ჩაუვიდა. მას სამუელ კებედე ჰქვია... საერთოდ კი, გლაზგოში კრივი უყვართ. ევროპის სამთავან ერთი დიდი საკრივო ქალაქია.

# დაბადების დღე

შრი ლანკა და პაკისტანი ერთმანეთს ეკრიკეტებიან ყარაჩიში. შრილანკელ ტაფელოსან კუმარ სანგაკარას დაბადების დღე ჰქონია და ტორტიც მინდორზევე მიურთმევიათ.



# ოთხმოცდაექვსი წლის თავზე

„ბოსტონ რედ სოქსი“ მსოფლიოს ჩემპიონია ბეისბოლში! დიახ, სწორედ ასე ითქმის. ამ გუნდმა თავის „ფინვეი პარკზე“ საბოლოოდ დაამარცხა „სენტ ლუის კარდინალსი“ და ამას მთელი ამბები მოჰყვა... რა გასაკვირია, „ბოსტონს“ მსოფლიო სერია არ მოეგო 1918 წლის შემდეგ.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge